სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 11 ივლისი 2008 №158 (3382)

ფასი 50 თეთრი



ᲛᲔ ᲕᲘᲪᲝ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲜ ᲝᲪᲝ, ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

გერმანელი ფოლკერ ფინკე, ვისაც საქართველოში იმით იცნობენ, რომ „ფრაიბურგის“ მწვრთნელობისას გუნდში ქართველი ფეხბურთელები ჰყავდა, დღეს გამთენიისას თბილისში ჩამოვიდა.

მისი ჩამოსვლა კი ერთხელაც ადასტურებს, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მას ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის უმთავრეს კანდიდატად მიიჩნევს.

დანარჩენი მალე გაირკვევა. დამშვიდობებისას ფინკე გვეტყვის, რომ აღფრთოვანებულია აქაურობით, ისევე, როგორც ეს ხორვატმა ბრანკო ივანკოვიჩმა გვითხრა ამასწინათ, მერე კი, სამშობლოში დაბრუნებულმა უარი შემოთვალა.

თუმცა ალბათობა, რომ გერმანიაში დაბრუნებული ფინკე უარს შემოთვლის, ნაკლებია.

ფოლკერ ფინკეს კონკურენტებად კი კვლავაც რჩებიან ავრაამ გრანტი და ზიკო. დიდი ბრაზილიელისა რა გითხრათ და, ავრაამ გრანტიც, ალბათ, მალე ჩამოვა თბილისში. ზიკოს ამბავი უფრო ბუნდოვანია.

ერთი სიტყვით, საქმე კვანძის გახსნისკენ მიდის, სანაკრებო სეზონის განახლებამდე კი სულ უფრო ცოტა დრო რჩება.

ᲠᲐ ᲬᲓᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲔᲠᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ?

ᲗᲣ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲬᲛᲔᲑᲐ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲪ

ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

საქართველოს თასისა და სუპერთასის ორ-ორჯერ მომგები და თასის ფინალისტი გუნდისგან დღეს იქნებ აღარაფერი დარჩეს და მუდამ პირველობისთვის მებრძოლმა კლუბმა მომავალ სეზონში ოდენ უძლიერესთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად ითამაშოს.

ამბავი კი ასეთია: „ამერმა“ ფეხბურთელებს ხელფასი დაუგვიანა და ამის გამო ფეხბურთელებმა უკმაყოფილება ვარჯიშის ბოიკოტით გამოხატეს. ცხადია, ამ მოულოდნელ და უსიამოვნო ამბავს „ამერის“ ხელმძღვანელობის სათანადო რეაქციაც მოჰყვებოდა და აკი „სარბიელთან“ გუშინდელ ინტერვიუში კლუბის პრეზიდენტმა ზურაბ ფოცხვერიამ სანქციებიც არ გამორიცხა...

როგორც შევიტყვეთ, „ამერი“ ასეთი დემარშისთვის ლამის ნახევარი გუნდის დათხოვნას აპირებს, თუმცა სხვა პრობლემაც გაჩნდა — დანარჩენებმა, ჩვენ ყველანი ერთნი ვართო და...

ალბათ მალე გაირკვევა, ვინ დარჩება გუნდში და ვინ დადგება ტრანსფერზე...

ჩვენი ვარაუდით, „ამერი“ მომავალ სეზონში ერთობ გადახალისებული შემადგენლობით ითამაშებს, არადა, სადაც ამ კლუბის დევიზად „ძალა და ღირსება“ თქმულა, იქ კეთილი ნების გამოხატვასაც ვისურვებდით და იმედია, ამას კლუბის ყველა წევრი გაითვალისწინებს და ეს ყველასთვის უსარგებლო კონფლიქტი მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ ამოიწურება...

ᲕᲘᲡᲘᲮᲔᲚᲘ. ᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ

ფინკე თბილისშია!



საქართველოს ნაკრების შესაძლო მწვრთნელთა სია შეთხელდა და სულ სამი კანდიდატი დარჩა — გერმანელი ფოლკერ ფინკე, ებრაელი ავრაამ გრანტი, ბრაზილიელი ზიკო — ამათი შანსებიც, ჩაიბარონ ჩვენი ეროვნული გუნდი, ზუსტად ასეთივე თანამიმდევრობით შეიძლება განისაზღვროს.

ყველაზე რეალური სწორედ ფოლკერ ფინკეს კანდიდატურა არის და აკი ის უკვე თბილისშია! ფინკე გამთენიისას მიუნხენიდან გვესტუმრა და დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებათა მორიგ რაუნდს დაიწყებს. ფინკეს თბილისური ვიზიტი ხანმოკლეა, გერმანელი სპეციალისტი დაათვალიერებს ეროვნულ სტადიონს, საგურამოში მშენებარე სანაკრებო ბაზას და უკვე აშენებულ ტექნიკურ ცენტრ „ბასას". მოლაპარაკებებიც ამის შემდეგ დაიწყება და ღამით ის უკანვე წავა.

ფინკესთან შედარებით საქართველოში მუშაობის ნაკლები შანსი აქვს ავრაამ გრანტს. ფეხბურთის ფედერაციას ამ მწვრთნელთან უკვე ინტენსიური კავშირი აქვს. ფედერაციამ გრანტს თბილისში ჩამოსვლა და აქაურობის გაცნობა 16 ივლისისთვის შესთავაზა. იმ დღეს თბილისის „დინამო" ფარერულ „რუნავიკს" უმასპინძლებს და ფედერაციამაც ამიტომ შეარჩია გრანტისთვის ეს თარიღი. მწვრთნელი თუ წამოვიდა, ცხადია, „დინამოს" თამაშსაც დაესწრება.

და ზიკო, ვისთვისაც ქართული მხარის პირობები უკვე ცნობილია და წინადადებაზე თუ ყაბულსაა, დღე-დღეზე უნდა თქვას. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ზიკოც ჩამოვა, ფინკესა და ალბათ გრანტის გზას გაიცლის და მოლაპარაკებებს თბილისში გააგრძელებს.

მოკლედ, კითხვაზე პასუხი, როდის და ვინ იქნება საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, ახლოვდება და ეს ამბავი უახლოეს ორ კვირაში (ეგებ იქამდეც) გაირკვევა.

ერთიც საინტერესოა: შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ ფეხბურთის ფედერაციამ მეტი საჯაროობისთვის თავის აღმასკომს სამივე ამ მწვრთნელის კანდიდატურა ერთად წარუდგინოს და ხმათა უმრავლესობით გადაწყდეს კიდეც ახალი თავკაცის საქმე. ყოველ შემთხვევაში, როგორც ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გვითხრა, ჯერ სამივე მწვრთნელის საბოლოო პასუხს დაელოდებიან და გადაწყვეტილებაც ამის შემდეგ გამოცხადდება.

აქ კი უკვე თბილისში მყოფ გერმანელი ფოლკერ ფინკეზე გეტყვით ორიოდ სიტყვას: ფინკე 1948 წლის 24 მარტს გერმანულ ნინბურგში დაიბადა. თამაში სამოყვარულო დონეზე „ჰაველზეში" დაიწყო და 1969-დან 1975 წლამდე „ჰანოვერშენში" გააგრძელა, სადაც დაასრულა კიდეც ფეხბურთელის კარიერა. სამწვრთნელო საქმესაც მაშინვე, „სტელინგენში" შეუდგა, 1986 წლიდან 1990-მდე იმავ „ჰაველზეს" თავკაცობდა, ერთი სეზონი „ნორდერშტედდში" იყო და შემდეგ 16 წელიწადი უკვე „ფრაიბურგში" გაატარა. ფინკეს ხელმძღვანელობით „ფრაიბურგი" ბუნდესლიგასა და მეორე ბუნდესლიგას შორის იყო გამოკიდებული, ერთხელ კი გუნდმა უეფას თასზე ითამაშა. ფინკეს სახელი საქართველოში მას შემდეგ გაისმა, რაც მან „ფრაიბურგში" ჯერ ალექსანდრე იაშვილი, მერე კი ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, გიორგი კიკნაძე, ზაზა ზამთარაძე და ოთარ ხიზანეიშვილი მიიღო. იაშვილი და კობიაშვილი ახლა უმაღლეს დონეზე თამაშობენ და თავის დროზე ხომ ლევან ცქიტიშვილიც ამათ სიმაღლეზე იყო...

დღეს ფოლკერ ფინკე უკვე თავად არის საქართველოში...

კოტა ინასარიძე

ოლიმპი დილა-საღამოს

გუშინ რუსთავის „ოლიმპმა" ორი ტესტ-მატჩი გამართა აზერბაიჯანელებთან. დილით რუსთაველები „ოლიმპიკს" გაეჯიბრნენ და 3:0 სძლიეს. „ოლიმპიკში" სამმა ქართველმა ითამაშა — რომან ახალკაცმა, მიხეილ ხუციშვილმა და გრიგოლ დოლიძემ, რომელიც აზერბაიჯანულ გუნდში გასინჯვაზეა.

მთელი მატჩის განმავლობაში თურამე შექმნა „ოლიმპიკმა", ყველაფერში ქართველების ფეხი ერია. ხუციშვილი პირველ ნახევარში თავდამსხმელი იყო, მის უკან დოლიძემ ითამაშა. მეორე ნახევარში ხუციშვილი მარცხენა ნახევარმცველად გაისარჯა, ახალკაცი კი მარჯვენა ნახევარმცველი იყო.

ხუციშვილი 62-ე წუთზე შეცვალეს. რაც შეეხება კიდევ ერთ ქართველ ლევან მელქაძეს, მან „ოლიმპიკში" ბოლნისის „სიონთან" ითამაშა და გოლიც გაიტანა, თუმცა გუშინ აღარ გამოჩენილა.

რუსთაველებმა თავიდანვე შეუტიეს. მე-3 წუთზე კოკა მიკუჩაძემ ქუსლით ხელსაყრელ პოზიციაზე დატოვა რევაზ გეწაძე, მაგრამ მან დარტყმა დაახანა და მომენტიც გაიცალა. მალევე გიორგი მეგრელაძეს შეეძლო გატანა, თუმცა მისი თავური აზერბაიჯანელთა მეკარემ მოიგერია.

მე-6 წუთზე მეგრელაძემ მაინც გაიტანა — შოთა ბაბუნაშვილის კარგი გადაცემით მეკარესთან პირისპირ გავიდა და ერთი შეხებით გაიტანა — 1:0.

აზერბაიჯანელმა ქართველებმა იაქტიურეს — ხუციშვილმა რუსთაველ მცველებს შეცდომა დააშვებინა და დოლიძესაც შეეძლო, ეხეირა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა.

„ოლიმპი" დაწყობილად თამაშობდა და გასაქანს არ აძლევდა მეტოქეს.

მეორე 45 წუთში ხვიჩა ქასრაშვილის შეგირდებმა კიდევ ორჯერ იხეირეს. 52-ე წუთზე გიორგი გაბიდაურმა შორიდან დააქუხა და ეფექტური გოლი გაიტანა, 67-ე წუთზე კი გიორგი ფეიქრიშვილმაც იყოჩაღა და ანგარიში გამანადგურებელი გახადა.

რუსთაველთა შემადგენლობა ასეთი იყო: *მერლანი, მაჭავარიანი, ჭიჭვეიშვილი, თ. ღონღაძე, გ. ონიანი, გაბიდაური, ფეიქრიშვილი, გეწაძე (46 სებისკვერაძე), ბაბუნაშვილი, მიკუჩაძე, მეგრელაძე.*

„ოლიმპი" საღამოს „ფოლადზე" „სიმურგს" ახალწვეულებით ეთამაშა და 0:2 წააგო. სხვათა შორის, მატჩს მხარის გუბერნატორი დავით კირკიტაძეც ესწრებოდა.

ქასრაშვილმა ყველა უცხოელი ნახა საქმეში, თუმცა რა შთაბეჭდილება შეექმნა, ვერ გეტყვით. პირველ ნახევარში ბრაზილიელი მორაიში და გაბონელი როდრიგ მუნდუნგა იდგნენ დაცვის ცენტრში, მეორე ტაიმში კი მუნდუნგამ მარჯვენა ნახევარმცველად გადაინაცვლა და უნდა ითქვას, რომ საკმაოდ კარგად გაისარჯა, მისი ადგილი კი დაცვის ცენტრში ჰოლანდიელმა იოჰან ველსიუსმა დაიკავა. ბრაზილიელები, მენდეში და იზბერნერი შემტევები იყვნენ, თუმცა ბევრი არაფერი გამოსვლიათ, უნგრელი სალკაი კი მარჯვენა მცველად მოგვევლინა...

რაც შეეხება სიმურგელ ქართველებს, სწორედ მათ გაიტანეს გოლები. მე-20 წუთზე კახა ჩხეტიანის ნაკურთხურალს მიხეილ მახვილაძემ დაახვედრა ფეხი საგოლედ, მეორე გოლი კი თავად ჩხეტიანმა გაიტანა საჯარიმოთი. ეს 27-ე წუთზე მოხდა.

დავით ბოლქვაძემ და მახვილაძემ ნახევარდაცვის ცენტრში ითამაშეს, კახა ჩხეტიანი კი მარცხენა მცველი გახლდათ. რაც შეეხება კახას ძმას, ზვიადს, რომელიც „სიმურგში" გასინჯვაზეა, ამ თამაშში არ გამოჩენილა.

„ოლიმპის" შემადგენლობა ასეთი იყო: *სტურუა, მორაიში, მუნდუნგა, სალკაი, რეზვიაშვილი, სებისკვერაძე, კ. მახარაძე, დობროვოლსკი, გ. ჩხეტიანი (კალანდაძე 35), მენდეში (ველსიუსი 46), იზბერნერი.*

ნამატჩევს „ოლიმპის" მწვრთნელ ხვიჩა ქასრაშვილს გავესაუბრეთ...

— დღეს უცხოელი ფეხბურთელები გასინჯეთ და რომელს დაიტოვებთ?

— ჯერ ვერაფერს გეტყვით, ხვალ გადავწყვეტ, დავიტოვებთ თუ არა.

— როგორც შევიტყვეთ, გუნდიდან წასულა დავით გიგაური...

— დიახ, გიგაური ჩვენთან არ არის.

— გვითხარით, თქვენი უახლოესი გეგმები...

— სავარაუდოდ, 12 ივლისს თბილისის „დინამო 2"-ს გავეჯიბრებით, 15-ში ცხინვალის „სპარტაკთან" ვგეგმავთ ტესტ-მატჩს, 18-ში კი ურეკში წავალთ შეკრებაზე.

ნუკრი ლოლაძე

გაბონელმა მუნდუნგამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა

ბუნდესლიგის ფოტოები

ვიტ ჯორჯია 4:0 კრიმტეპლიცას

1:0 როსტიაშვილი (6), 2:0 ბერეაშვილი (21), 3:0 ღუჭაშვილი (333), 4:0 მელქაძე (58)

ვიტ ჯორჯია (პირველი ტაიმი): ღურბელეიშვილი, ხურცილავა, ყველაშვილი, კასრაძე, კაშაური, მაისაშვილი, გ. ჯანელიძე, ღანიაშვილი, კვაღინიძე, ბერიაშვილი (ღუჭაშვილი 25), როსტიაშვილი.

(მეორე ტაიმი): ბედიაშვილი, ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, ლიპარტია, ვ. კვარაცხელია.

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

ვიტ ჯორჯიამ თბილისში გამარჯვება გამოიყოლა

თბილისის „ვიტ ჯორჯიამ" უკრაინული შეკრება პირველლიგელ „კრიმტეპლიცასთან" 4:0 გამარჯვებით დაასრულა.

ანგარიშიდანაც ჩანს, თბილისელებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს.

ნესტორ მუმლაძემ გუნდი ისევ განსხვავებული შემადგენლობებით ათამაშა.

ახალგაზრდა ვიტელებმა პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს შეხვედრის ბედი და მეტოქეს სამი გოლი გაუტანეს.

„ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა დუბლებიდან გადაყვანილმა როსტიაშვილმა.

დღეს „ვიტ ჯორჯია" თბილისში დაბრუნდება და უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებას აქ გაგრძელებს.

კახა შალამბერიძე

ამხანაგური მატჩები

კოლუმბუსი 2:1 ინდეპენდიენტე
კოლორადო 0:0 უნამი
ვატენშაიდი 0:1 შალკე
უიპეშტი 0:1 პოლიტეხნიკა
ლუცერნი 2:2 დორტმუნდი
ბაზელი 6:1 ლეგია
დუბნიცა 2:1 ჟიჟკოვი
ზლინი 1:0 რუხი
ოლიმპიაკოსი 0:2 ბროცლინი
ვისლა 1:1 კოპერი
სტიაუა 2:2 სუინდონი
სპარტა 1:0 მტკ
ვილი 0:6 ასტონ ვილა
დიორ ეტო 1:1 კარპატი

უეფა

თასის მეოთხედფინალი

ნორჩიოპინგი 2:2 დდ. (4:4, 4:5) ეინჩიოპინგი
სუნდსვალი 2:3 გიოტებორგი

ბრაზილია

სერია A
X ტური

კურიტიბა 4:0 პორტუგეზა
ინტერნასიონალი 1:0 გოიასი
ფლუმინენსე 3:0 ატლ. პარანენსე
ვიტორია 5:2 ბოტაფოგო
ატლ. მინეირო 1:1 ფლამენგო
ნაუტიკო 2:1 სან პაულუ
სანტოსი 1:1 გრემიო

ჩილე

კლასესური
გადადებული მატჩი

ევერტონი 2:0 კობრესალი

ამისულაშვილის აქეთ-იქით



რუსული პრემიერლიგის გადადებული მატჩი „ზენიტსა“ და ნალჩიკის „სპარტაკს“ შორის (3:4) ალექსანდრე ამისულაშვილის ავტოგოლით დაიწყო, თუმც ის გმირად იქცა და უეფას თასის მფლობელებს გადამწყვეტი გოლი გაუტანა. ეს ამისულაშვილის ზედიზედ მეორე გამარჯვების გოლია, ჩვენებურმა წინა ტურში თავის ყოფილ გუნდს, იაროსლავლის „შინიკს“ გაუტანა...

„ვფიქრობ, განწყობის ხარჯზე მოვიგეთ. რა თქმა უნდა, ოსტატობაც საკმარისი გვქონდა — „ზენიტის“ კარში ოთხი გოლის გატანა იოლი საქმე არ არის. შესაძლოა, გაგვიმართლა კიდეც, მაგრამ მათაც გაუმართლათ, რომ მხოლოდ ოთხი გავიტანეთ და არა მეტი. „ზენიტისგან“ დაცვაში ასეთ სუსტ თამაშს არ ველოდი, თავდასხმაში კი, როგორც ყოველთვის, ძალიან ძლიერად ითამაშეს“ — განუცხადა ჟურნალისტებს ამისულაშვილმა.

ამისულაშვილმა საკუთარ თამაშზეც ისაუბრა...

„მცველისთვის მთავარია, საიმედო იყოს. ავტოგოლის შემდეგ ცოტა დავიკარგე, შეცდომებს ვუშვებდი. მეორე ტაიმში უკეთ ვითამაშე, ამასთან საკუთარი კარში გატანილი გოლის გამოსწორება მინდოდა, ამიტომაც ჩავედი მეტოქის საჯარიმოში სტანდარტული სიტუაციისას“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ქართული გოლები სომხეთში

გუშინ სომხეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში ორი ქართული გოლი გავიდა: ზაზა სახოკიამ „მიკასთვის“ გაიტანა — 78-ე წუთზე 1:2 გახადა „ბანანცთან“, თუმც ზაზას გუნდმა მაინც წააგო (1:3) და მესამე ადგილზეა.

ქართველებით უხვმა „განძასარმა“ კი შინ 4:1 სძლია „ულისეს“ და ანგარიში „განძასარის“ ექსდილელმა, დავით ხანიშვილმა მე-10 წუთზე გახსნა.

ლატვიაში კი „იურმალასთან“ 1:0 მოგებით ლიდერობა განიმტკიცა ზურაბ მენთეშაშვილის „ვენტსპილსმა“. ჩვენიანმა სრულად ჩაატარა მატჩი.

ლუკა თალაკვაძე

ორივე ლევანი შალკეს ძირითადში
ყენია მეკარემ გაამწარა

ბურთით ლევან ყენია

გელზენკირხენის „შალკემ“ „ერკენშვიკთან“ 6:0 მოგების შემდეგ, მორიგი ტესტ-მატჩი გამართა და გერმანიის რეგიონალლიგელ „ვატენშაიდს“ 1:0 სძლია.

ლევან კობიაშვილმაც და ლევან ყენიამაც ძირითადში ითამაშეს. კობი 72-ე წუთზე შეცვალეს — წინა მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად მან საყრდენ ნახევარმცველად ითამაშა. ყენია კი შესვენებაზე შეცვალეს. 17 წლის ქართველს გოლის გატანის რეალური შანსიც მიეცა, თუმც „ვატენშაიდის“ მეკარემ სასწაული რეაქცით მოიგერია ბურთი. ეს ყენიას მეორე მატჩი იყო „შალკეს“ ძირითად გუნდში.

„ხუმარათა“ ვებგვერდის ფორუმში კი მასზე ქების მეტი არაფერი წერია. არ არის გამორიცხული, ყენიას ოფიციალურ მატჩებშიც ენდოს მწვრთნელი ფრედ რუტენი — მით უმეტეს, რომ ხორვატი ივან რაკიტიჩი „შალკედან“ აბარგებას აპირებს.

ბარემ ვთქვათ, რომ „ვატენშაიდთან“ ერთადერთი გოლი კრისტიან პანდერმა შეაგდო 63-ე წუთზე.

და რადგან გერმანულ ლეგიონზე ვლაპარაკობთ, ალექსანდრე იაშვილზეც ვთქვათ. მისმა „კარლსრუემ“ 12:0 მოუგო ქვედალიგელ „შლიუჩტერნს“: „აკუნამ“ მეორე ტაიმში ითამაშა, თუმცა გოლი არ გაუტანია.

ილია ნანოგაშვილი



რაბინოვიჩმა დემეტრაძეს საავადმყოფო ურჩია

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და კიევის „არსენალის“ თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე სხვა კლუბში აღარ გადავა.

ამის თაობაზე განცხადება „არსენალის“ მფლობელმა ვადიმ რაბინოვიჩმა გააკეთა...

„ჭორების მიუხედავად, გიორგი დემეტრაძე გუნდში რჩება. ის ამჟამად შეკრებაზეა და დუბლშემადგენლობაში ვარჯიშობს. მწვრთნელებს ჯერჯერობით გიორგი ძირითად შემადგენლობაში არ გადაჰყავთ, რადგან მას სამი კილოგრამით ზედმეტი წონა აქვს. მაქვს ექიმების მონაცემებიც, რომელთა თანახმად, მას სპურტისას პულსი წუთში 300 დარტყმა აქვს. ასეთი პულსით საავადმყოფოში უნდა წახვიდე და არა მოედანზე“.

აი, ასეთი მკაცრი განცხადება გაკეთა რაბინოვიჩმა, ვინაც რამდენიმე დღის წინ უკრაინულ პრესასთან ინტერვიუში თქვა, დემეტრაძის ადგილი „არსენალში“ აღარ არისო...

ბაბა შალამბერიძე

კაუნასი ისევ ლიდერობს

ლიტვის ჩემპიონატის მე-15 ტურში „კაუნასმა“ „სუდუვას“ 1:0 სძლია და 31 ქულით ლიდერობა შეინარჩუნა.

მასპინძელთა რიგებში ნუკრი მანჩხავამ 90 წუთს ითამაშა, აკაკი ხუბუტია კი არ გამოჩენილა.

მატჩის ერთადერთი გოლი მე-10 წუთზე ლედესმამ შეაგდო.

ბაბა შალამბერიძე

ტატანაშვილი: ჯერ უგოლოდ

დიმიტრი ტატანაშვილის „პლზენმა“ ჩეხურ „მოსტთან“ ამხანაგური მატჩი გამართა და 2:2-ზე გაეყარა.

ქართველი ფორვარდი მინდორზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა, თუმცა გოლებში მონაწილეობა არ მიუღია. ისე კი, რამდენიმე მომენტი ვერ გამოიყენა.

ტატანაშვილის გუნდი მორიგ საკონტროლო მატჩს დღეს გამართავს რუმინულ „ტიმიშოარასთან“.

ბაბა შალამბერიძე

ვიტ ჯორჯიასთან დასასწრები კრონები

ტრანსპორტს „სპარტაკისა“ და თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ საუეფასთასო მატჩი რომ 17 ივლისს გაიმართება, არახალია.

სლოვაკური კლუბის ხელმძღვანელობამ თამაშზე დასასწრები ბილეთებს ფასი დაადო.

დასავლეთ-აღმოსავლეთ ტრიბუნებზე ბილეთები 150 კრონა (5 ევრო) ღირს, სამხრეთ-ჩრდილოეთზე კი — 120 კრონა (4 ევრო).

ილია ნანოგაშვილი

შოთამ მარადონას გაუსწრო

მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის ასოციაციამ პლანეტის ყველა დროის 300 საუკეთესო მეგოლის ცხრილი გამოაქვეყნა. ამ გოლებში ითვლება ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, თასზე, ევროტურნირებსა და ეროვნულ ნაკრებში გატანილები.

მიხვდებოდით, ცხრილში შოთა არველაძეცაა. ის 86-ე ადგილზეა 430 მატჩში გატანილი 263 გოლით.

პირველ საფეხურზე ლეგენდარული პელე გახლავთ, ხოლო დიეგო მარადონა 93-ე ადგილზეა — 490 მატჩი, 259 გოლი.

ილია ნანოგაშვილი

1. **პელე** (ბრაზილია)	1957-1977	560 მატჩი	541 გოლი
2. **იოჟეფ ბიკანი** (ჩეხოსლოვაკეთი)	1931-1955	341	518
3. **ფერენც პუშკაში** (უნგრეთი)	1943-1966	533	511
4. **რომარიო** (ბრაზილია)	1985-2007	612	489
5. **რობერტო დინამიტი** (ბრაზილია)	1971-1992	758	470
6. **იმრე შოსლერი** (უნგრეთი)	1905-1928	318	417
7. **დიულა ჟენგელერი** (უნგრეთი)	1935-1952	394	416
8. **ჯეიმს მაკგრორი** (შოტლანდია)	1922-1938	408	410
9. **ზიკო** (ბრაზილია)	1971-1994	596	406
10. **გერდ მიულერი** (გერმანია)	1965-1981	507	405

დააბრუნეთ ჯო მიწაზე!

ჯო კოული

ისე გამოვიდა, რომ ჯო კოულმა ჟოზე მაურინიუს საყვედური თქვა: ლუიშ ფელიპე სკოლარის გამოჩენამ იმედი ჩამისახა, მგონი, ბოლოს და ბოლოს, ჩემს ფეხბურთს ვითამაშებო, უთქვამს „ჩელსისა“ და ინგლისის ნაკრების ფლანგელს.

მაინც რა არის კოულის ფეხბურთი?

90-იან წლებში, ასაკობრივ ნაკრებებში და საემაწვილო დონეზე თამაშისას ჯო კოულმა სახელი გაითქვა, როგორც ეფექტური ფინტების მქონე გარემარბმა, თუმცა, შედგა თუ არა ფეხი პროფესიულ სარბიელზე, ფინტები სადღაც გაქრა და ოდესღაც ეფექტური ბიჭუნას თამაშიდან წინ და უკან სასარგებლო სწრაფი სირბილიღა დარჩა — არც მაურინიუსა და არც გრანტს მისი ცრუმოძრაობები და დრიბლინგი არ დასჭირვებიათ.

და აი, „ჩელსის“ სათავეში ბრაზილიელი კაცი მივიდა, მწვრთნელი, რომელმაც 2002 წელს თავისი ქვეყნის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახადა, შემდეგ კი პორტუგალიის ნაკრები ათამაშა ძალიან კარგად და... რაც მთავარია, კოულის აზრით, ლამაზად.

„სკოლარისგან დამაიმედებელი სიგნალები მივიღე — განაცხადა ვარსკვლავმა — რასაკვირველია, ჯერ ჩვენი ნაცნობობის პირველი დღეებია, მაგრამ ის ძალიან იოლად საურთიერთო კაცი ჩანს და ფეხბურთში დიდი წონაც აქვს. ერთი სიტყვით, ვიმედოვნებ, რომ მისი ხელმძღვანელობით კარგ ფეხბურთს ვითამაშებ და თითებს ვაჯვარედინებ, ნეტავ ტრავმამ არ შემიშალოს ხელი. მალე 27 წლის გავხდები და როგორც იქნა, გამოჩნდა მწვრთნელი, რომლის ნაირსაც მთელი კარიერის განმავლობაში ველოდი. სკოლარი ერთი კვირის მოსულიც არ არის და ბიჭების პატივისცემა უკვე დაიმსახურა. ის ჩვენთან უკვე შინაურივითაა“.

კოულმა ჟურნალისტებს უამბო, რომ ის უკვე ელაპარაკა პაულუ ფერეირას, მცველს, რომელიც სკოლარის ხელმძღვანელობით პორტუგალიის ნაკრებში ევრო 2008-ზე გამოდიოდა.

„იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებ, რაც პაულუმ მიამბო და რაც ჩემი საკუთარი თვალით ვნახე, როგორც პორტუგალიის ასევე ბრაზილიის ნაკრებში მას აჰყავდა მოთამაშეები, რომელთაც ბურთის მოედანზე გორება უყვართ და მეც სწორედ ამას ვარ დანატრებული. პაულუმ მითხრა, რომ ის ჩინებული მწვრთნელია და, როგორც წესი, მისით ფეხბურთელები კმაყოფილები არიან. ეს ძალიან კარგის ნიშანია, რადგან, ჩვეულებრივ, როდესაც ხალხს მწვრთნელზე ელაპარაკები, ზოგი ერთს გეუბნება და ზოგი მეორეს“.

პაპუნა კედია


ზეპ ბლატერ



კრიშტიანუ რონალდუ

ალექს ფერგიუსონი

მანჩესტერი მონათმფლობელია

ბლატერმა ფერგიუსონს შეუტია

მსოფლიო ფეხბურთის ყველაზე გავლენიანმა ადამიანმა, ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა, კრიშტიანუ რონალდუს ისტორიაში, არც მეტი არც ნაკლები, ალექს ფერგიუსონი დაადანაშაულა. საფეხბურთო მთავარგამგებლის თქმით, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცმა თავის პორტუგალიელ ვარსკვლავს, მიუხედავად რამდენიმე თვის წინ ხელმოწერილი ოთხწლიანი კონტრაქტისა, მადრიდის „რეალში“ გადასვლა არ უნდა აუკრძალოს.

„რაღაც, ფეხბურთში თანამედროვე მონათმფლობელობა მოხშირდა — გაბრაზებით განაცხადა ბლატერმა — ასეთ პირობებში მე ყოველთვის მოთამაშის მხარეს ვიჭერ. კაცს წასვლა უნდა? გაუშვი! თუ რონალუს არ სურს კონკრეტულ კლუბში დარჩენა, რადგან იქ თავს კომფორტულად ვერ გრძნობს, მისი ძალად დატოვება ცუდი იქნება როგორც ფეხბურთელისთვის ასევე კლუბისთვის. დიახ, ფეხბურთელი აუცილებლად უნდა დავიცვათ. თუ მოთამაშეებს საღღაც სხვაგან მიუწევთ გული, გამოსავალი აუცილებლად უნდა ინახოს“.

ეს ინტერვიუ ფიფას პრეზიდენტმა Sky News-ს მისცა. მანვე დასძინა:

„პერიოდულად, ფეხბურთელების ტრანსფერთან დაკავშირებულ საქმეებში მონათმფლობელობის თანამედროვე ნაირსახეობებს ვაწყდებით და გადავწყვიტეთ, ასეთ ისტორიებს აღარ წავუყრუოთ. შევეცდებით ჩავერიოთ და ფეხბურთელების ინტერესი დავიცვათ. ბოსმანის წესმა მოიტანა ის, რომ კლუბები ფეხბურთელების შესანარჩუნებლად მათთან ხანგრძივ კონტრაქტებს აფორმებენ, მაგრამ როდესაც ამ ფეხბურთელებს სხვაგან გადასვლა მოუნდებათ, მათ საკუთარ თავის გამოსყიდვაში ხელი აღარ უნდა შეუშალონ“.

ბლატერის განცხადებაზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ მხარეს პირველი, ოღონდ არაოფიციალური რეაქცია ასეთი ჰქონდა:

„კონტრაქტი მასში მონაწილე ორი მხარის ნებაყოფლობითი შეთანხმებაა, რის გამოც ვფიქრობთ, რომ ჩვენი პოზიცია მართალია და მისი დაცვა ნებისმიერ ინსტანციაში თავისუფლად შეიძლება“.

ჩვენი მხრივ, თუ სწორად ვხვდებით, დავძენთ, რომ ბატონი ბლატერი კონტრაქტის ძალით გაფორმებას არც არავის აბრალებს, ის უბრალოდ, ამბობს, რომ ადამიანს ამა თუ იმ კლუბში (ან სამსახურში) საკუთარი ნებით მისვლის შემდეგაც შეიძლება გაუჩნდეს სხვა აზრი და კლუბის (ან სამსახურის) გამოცვლა მოუნდეს. რა უნდა მოხდეს ამ შემთხვევაში?...

პაპუნა კედია

საკონტრაქტო დავიდარაბა: ლამპარდის ფასი იზრდება, მანსინი კი უკვე ინტერშია

ფრენკ ლამპარდი და ჟოზე მაურინიუ

გაურკვევლობა ფრენკ ლამპარდის გარშემო გრძელდება. „ინტერი“ ყველანაირად ცდილობს მის გადაბირებას, „ჩელსი“ კი შენარჩუნებას. ლონდონელთა ხელმძღვანელები იმასაც კი ამბობენ, თუ ახალ კონტრაქტზე ვერ მოვრიგდებით, მოქმედი შეთანხმებით, ლამპარდი ჩვენთან კიდევ ერთი სეზონი უნდა დარჩეს და არსად გავუშვებთო, ანუ ისინი მზად არიან, მომავალ ზაფხულს ფეხბურთელი უფასოდ დაკარგონ, ოღონდ ახლა არ გაუშვან. შეგახსენებთ, რომ „ნეაძური“ „ჩელსის“ 6 მილიონ გირვანქას სთავაზობდა, ბოლო ინფორმაციით კი ეს თანხა 8 მილიონამდე გაზარდა.

„ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ შეთანხმებას შევძლებთ. მოლაპარაკება გრძელდება. ყოველთვის ვამბობდით, რომ ფრენკის შენარჩუნება გვინდა და ჩვენი წინადადება ძალაშია. ასეა თუ ისე, მოქმედი კონტრაქტით, ლამპარდი კიდევ ერთი წელი „ჩელსის“ საკუთრებაა“ — თქვა ლონდონელთა აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კინიონმა.

ლამპარდის აგენტი სტივ კატნერი: „ფრენკი კლუბის ახალ მწვრთნელ ლუიშ ფელიპე სკოლარის ჯერ ტელეფონით, მერე კი პირადად ელაპარაკა. ბრაზილიელ სპეციალისტს სურს, რომ ჩემი კლიენტი გუნდში დარჩეს. მას ფრენკმაც განუმარტა, რომ ძალიან უნდა კარიერის „ჩელსიში“ დასრულება, მაგრამ იმ კონტრაქტით, რომელსაც კლუბი ახლა გვთავაზობს, ეს შეუძლებელია. შესაძლოა, რაღაც გაუგებრობა მოხდა და ფრენკის სიტყვები გადააკეთეს, არ ვიცი, მისი პოზიცია კარგად რატომ არ აუხსნეს სკოლარის. მწვრთნელს ეგონა, რომ ლამპარდს წასვლა სურდა. „ჩელსიმ“ ლამპარდი ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა, ის კარიერის „სტემფორდ ბრიჯზე“ დასრულებაზე ოცნებობდა, მაგრამ ბევრად უკეთეს კონტრაქტს იმსახურებს“.

ამასობაში, „ინტერის“ ბანაკში კვლავ ომპტიმიზმი სუფევს. „ჩელსის“ ექსმწვრთნელს ჟოზე მაურინიუსა და კომპანიას სჯერათ, რომ „ნერაძური“ ლამპარდს ხელში ჩაიგდებს.

„ჯერ გადაწყვეტილი არაფერია და კვლავ დიდი იმედი გვაქვს, რომ ლამპარდის შეძენას შევძლებთ. მწვრთნელმა მითხრა, რომ კლუბი ყველაფერს აკეთებს, რათა ეს ტრანსფერი გამოვიდეს“ — განაცხადა მაურინიუს ასისტენტმა ბეპე ბარეზიმ.

ამასობაში, ამანტინო მანსინი როგორც მოსალოდნელი იყო, ოფიციალურად გახდა „ინტერის“ ფეხბურთელი. „რომს“ უკვე ყოფილი ბრაზილიელი გარემარბი „ნერაძურის“ დახლებით 15 მილიონი ევრო დაუჯდა.

გავრცელებული ცნობით, „ინტერი“ მა სეზონში 3,5-4 მილიონ ევროს გადაუხდის. კონტრაქტი ოთხწლიანია.

„ორივე მხარე კმაყოფილია. იმედია, მანსინი ისევე კარგად ითამაშებს, როგორც მეორე ექსრომაელი კრისტიან კივუ“ — თქვა „ინტერის“ დირექტორმა გაბრიელე ორიალიმ.

გიორგი კაკაბაძე

პირლო და ხელფასი

იტალიური „მილანის“ ერთ-ერთ ლიდერ ანდრეა პირლოს კლუბის ხელმძღვანელობისთვის ხელფასის გაზრდა უთხოვია და პასუხად უარი მიუღია. ყოველ შემთხვევაში, იტალიური პრესის ვერსიით, ასეა. „როსონერის“ ხელმძღვანელობამ კი ეს ინფორმაცია არ დაადასტურა.

„პირლო? ის „მილანის“ ფეხბურთელია, რომელსაც მოქმედი კონტრაქტით კლუბთან კიდევ სამი წელი აკავშირებს. ახალი და სათქმელი მეტი არაფერია“ — აღნიშნა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

„როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტი გუნდის სარეზერვო მცველის, კრისტიან ბროკის აგენტს დავიდ ლიპისაც შეხვდა, რათა მხარეებს 32 წლის ფეხბურთელის მომავალზე ემსჯელათ, მაგრამ ამ საკითხზე რაიმე ახალი ცნობა არ გავრცელებულა.

გუნდის დატოვებაზე ფიქრობს ვეტერანი მეკარე მარკო სტორარიც. იგი „მილანში“ მეოთხე გოლკიპერად მოიაზრება, რაც არ აკმაყოფილებს და ამბობს, ისეთ გუნდში მინდა გადასვლა, რომელშიც ძირითად შემადგენლობაში ვიქნებიო.

გალიანიმ კი ისიც თქვა, ემანუელ ადებაიორისა და რონალდინიოს ტრანსფერებზე მუშაობას ვაგრძელებთ, მაგრამ თუ ვინმეს ჰგონია, რომ ორივე მათგანის დამატება გვინდა, ასე არ არის, ეს ზედმეტი იქნებოდა და გუნდში პრობლემებს შექმნიდა, აი, ერთი მათგანის შეძენა რომ შევძლოთ, უკვე ძალიან კარგი იქნებაო.

კოკი კანდელაკი

იები კარგად ხარობენ

ჩეზარე პრანდელი
და ადრიან მუტუ

ფლორენციის „ფიორენტინას“ მთავარმა მწვრთნელმა ჩეზარე პრანდელიმ უარყო ინფორმაცია, თითქოს კლუბს თავის ლიდერ ადრიან მუტუსთან პრობლემები ჰქონდეს.

საქმე ის აის, რომ ვრცელდებოდა ცნობები, რუმინელმა ხელფასის მომატება ითხოვა, რაზეც უარი უთხრეს და ამიტომ წასვლაზე დაიწყო ფიქრი. მით უმეტეს, რომ მუტუს მსურვლები არ აკლია, გერმანული „ბაიერნისა“ და „შალკეს“ თამადობით.

„ადრიანს რამდენიმე დღის წინ ველაპარაკე. ის ძალიან შემართული და მოტივირებულია. ერთი სული აქვს, როდის დაიწყება მოსამზადებელი პერიოდი და მთლიანად მომავალი სეზონი. მასთან არანაირი პრობლემა არ გვაქვს, ეს საკითხი დახურულია“ — თქვა პრანდელიმ.

შეგახსენებთ, რომ „იებმა“ გასულ სეზონში სერია A-ში მეოთხე ადგილი მოიპოვეს და ახლა ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებენ. კლუბმა მუტუსა და მეკარე სებასტიან ფრეის შენარჩუნებით ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. გარდა ამისა, „ფიორენტინა“ უკვე გაძლიერდა ალბერტო ჯილარდინოთი, ჯანლუკა კომოტოთი, სტევან იოვეტიჩით, ფელიპე მელოთი, ხუან მანუელ ვარგასითა და ჟეფერსონით. გამორიცხული არ არის, ფლორენციელებმა აგვისტოს ბოლომდე კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატონ.

„დირექტორატმა და მთლიანად კლუბის ხელმძღვანელობამ ძალიან კარგად იმუშავა. ახლა გაცილებით უფრო ძლიერი გუნდი გვყავს და მართლაც ერთი სული გვაქვს, როდის დაიწყება სეზონი. ვერ გეტყვით, იტალიაში დიდ ოთხეულსა და შედარებით პატარა კლუბებს შორის სხვაობა შემცირდა თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ უშუალოდ ჩვენ საგრძნობლად მოვუმატეთ. ახლა თავდაუზოგავი შრომა გვმართებს, რათა წინსვლა გავაგრძელოთ. აგვისტოში ხომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩები ანუ ჩვენთვის სეზონის უმნიშვნელოვანესი შეხვედრები გველის“ — დასძინა პრანდელიმ.

კოკი კანდელაკი

თხის სიტყვა

„კიოლნის“ მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა განაცხადა, რომ ლუკაშ პოდოლსკის ტრანსფერზე ლაპარაკს არ დაიწყებს, სანამ „ბაიერნისგან“ ნებართვას არ მიიღებს.

პოდოლსკიმ კარიერა „კიოლნში“ დაიწყო და 2006 წელს გადავიდა „ბაიერნში“, რომელმაც 10 მილიონი ევრო გადაუხადა „თხებს“. ფეხბურთელმა მიუნხენურ კლუბში ორი წლის განმავლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და კლუბის გამოცვლას ლამობს. ახლა „კიოლნს“ 23 წლის ფორვარდის დაბრუნება სურს, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე სამი გოლი გაიტანა.

„მიუნხენელებს პოდოლსკის გაყიდვა „შტუტგარტში“ სურდათ, მაგრამ ფეხბურთელმა თქვა, რომ მხოლოდ „კიოლნში“ გადავიდოდა. ამიტომაც გამოვთქვით ლუკაშის გადაბირების სურვილი.

ვისაუბრეთ და გაირკვა, რომ ჩვენ მზად ვართ ფეხბურთელის შესაძენად, თუმც მერე „ბაიერნის“ შეფმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ პოდოლსკის გაყიდვა გამორიცხა.

ასეთი განცხადების შემდეგ შევჩერდით და მიუნხენური კლუბის მორიგ ნაბიჯს ველოდებით“ — განაცხადა „კიოლნის“ თავკაცმა კრისტოფ დაუმმა.

ვაჟა ხუციშვილი

ფილიპსი ბირმინგემში

„ვესტ ბრომვიჩის“ თავდამსხმელი კევინ ფილიპსი „ბირმინგემში“ გადავიდა. კლუბმა 34 წლის ფორვარდს ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ფილიპსმა „ვესტ ბრომვიჩის“ შემადგენლობაში ორ სეზონში 46 გოლი გაიტანა, თუმცა მისი საუკეთესო წლები მაინც „სანდერლენდთან“ არის დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ „ვესტ ბრომვიჩი“ წელს პრემიერლიგას დაუბრუნდა, ხოლო „ბირმინგემი“ პირიქით, ჩემპიონლიგაში დაქვეითდა. როგორც ჩანს, ბებერ კევინს უმაღლეს დონეზე თამაში აღარ შეუძლია.

სამპდორიამ პადალინო დაიმატა

გენუის „სამპდორიამ“ სერია B-ს „პიაჩენცადან“ მარკო პადალინო შეიძინა. შვეიცარიაში დაბადებულმა 24 წლის ნახევარმცველმა სამი სეზონის განმავლობაში „პიაჩენცას“ შემადგენლობაში 85 თამაში ჩაატარა. „სამპდორიაში“ გამოსვლით მას სერია A-ში დებიუტი ექნება.

ღამურებს ახალი ბოსი ჰყავთ

ესპანურმა „ვალენსიამ“ შეთანხმებას მიაღწია ბიზნესმენ ხუან ვილიალონგასთან, რომელიც კლუბის ახალი მფლობელი და პრეზიდენტი იქნება.

„ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ „ვალენსიაზე“ ვფიქრობდი. ჩემი მიზანია, კლუბი მსოფლიოს ფეხბურთის ელიტაში გავრიო. ამას ქალაქიც იმსახურებს და ამ გუნდის გულშემატკივრებიც“ — განაცხადა ვილიალონგამ.

ბეტისი და აურელიო

თურქეთის ნაკრების წარმოშობით ბრაზილიელი ნახევარმცველი მეჰმეთ აურელიო „ბეტისში“ ჩაირიცხა. ბრაზილიელმა სევილიელებთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ადრე 30 წლის ფეხბურთელი „ფენერბაჰჩეს“ რიგებში გამოდიოდა. მეჰმეთმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა ევრო 2008-ზე თამაშით, რამაც ამ ტრანსფერზე ალბათ თავისი გავლენა მოახდინა.

შეგახსენებთ, რომ მოთამაშით დაიტერესებულნი იყვნენ ასევე „ვილიარეალი“ და „დეპორტივო“.

პეკინში ჰაინცესაც არ უშვებენ

„რეალის“ არგენტინელი მცველი გაბრიელ ჰაინცე, სავარაუდოდ, ოლიმპიადას გამოტოვებს. აგვისტოში მადრიდელებს ორი რთული პაექრობა ელით ესპანეთის სუპერთასზე „ვალენსიასთან“ და მათ განკარგულებაში მხოლოდ ორი ცენტრალური მცველი პეპე და მეცელდერი რჩება.

ამ კვირას რამდენიმე ევროპულმა კლუბმა უკვე უარი განაცხადა პეკინში თავისი წამყვანი ფეხბურთელების გაშვებაზე. „ბარსელონამ“ რონალდინიოს დატოვება მოისურვა, ხოლო „ვერდერმა“ — დიეგოსი, იტყობინება ესპანური „მარკა“.

ცვლილებები ჩაქუჩებში

ლონდონურმა „ვესტ ჰემმა“ ნება დართო თავის თანაქალაქელ „ფულემს“, მოლაპარაკება დაიწყოს ბობი ზამორასთან და ჯონ პენტსილთან. „ჩაქუჩებს“ უკვე დაუბრუნდნენ განათხოვრებული კირონ დაიერი და კრეიგ ბელამი, დინ ეშტონმა კი კლუბთან ხელშეკრულება გაახანგრძლივა. ამას დავუმატოთ, რომ კარგ ფორმაშია კარლტონ კოული, ხოლო ფრედი სირსი მწყობრში ჩადგა. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, „ვესტ ჰემს“ აღარ ესაჭიროება ზამორასა და პენტსილის დახმარება.

კორადი რეჯინაში?

„მანჩესტერ სიტის“ თავდამსხმელი ბერნარდო კორადი შეიძლება, „რეჯინაში“ აღმოჩნდეს.

„რეჯინა“ ბერნარდოთი დაინტერესებულია, ბერნარდო კი „რეჯინაში“ გადასვლით, მაგრამ ამავე დროს არსებობს „მანჩესტერ სიტი“ და ახალი კონტრაქტი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოლაპარაკება კლუბებს შორის. ჩვენი მხრიდან მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ დაინტერესებულნი ვართ ამ კონტრაქტით. მოთამაშემ უნდა იგრძნოს, რომ ის მიიღეს და „ორესტე გრანილოს“ 35 ათასი გულშემატკივარი დაეხმარება ამის შეგრძნებაში“ — განაცხადა სპორტსმენის აგენტმა მორენო როჯიმ.

სიტი უთავოდ დარჩა

თანამდებობიდან გადადგა „მანჩესტერ სიტის“ პრეზიდენტი ჯონ უორდლი.

„ეს არ იყო ადვილი გადაწყვეტილება, რადგან „სიტიში“ მუშაობის ყოველი წუთი სიხარულს მანიჭებდა. ამაყი ვარ, რომ ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში „სიტიმ“ ერთხელაც არ დატოვა უმაღლესი დივიზიონი და მიაღწია სტაბილურობას, რომელსაც გულშემატკივრები ასე დიდხანს ელოდნენ“ — თქვა ჯოფილმა პრეზიდენტმა.

გრანკვისტი გადაბარგდა

ინგლისური „უიგანის“ მცველი ანდრეას გრანკვისტი „გრონინგემმა“ იყიდა. 23 წლის შვედმა ვერ შეძლო ინგლისური კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაბევება და ჰოლანდიაში იმედოვნებს სათამაშო პრაქტიკის მიღებას. შეთანხმება ოთხ წელზეა გათვლილი.

არჩილ კოგანიძე

როგორ თაღლითობენ თაღლითები?

პოლ სტრეტფორდი, უეინ რუნი მეუღლით და ალექს ფერგიუსონი

უეინ რუნის აგენტს, პოლ სტრეტფორდს, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ 3 ათასი გირვანქა ჯარიმად დააკისრა და 18 თვით ფეხბურთში მუშაობა აუკრძალა. მიზეზი: მისტერ სტრეტფორდის დანაშაული იმ ხრიკებთან არის დაკავშირებული, რომელთა მეშვეობითაც მან რუნის აგენტობა ჩაიგდო ხელთ. გარდა ამისა, როგორც გაირკვა, უფალი აგენტი პოლიციასა და სასამართლოსაც ატყუებდა.

რად უნდა ლაპარაკი, რომ სტრეტფორდმა ფეხბურთის ასოციაციის სასჯელს პროდია უწოდა და გასაჩივრებით დაიმუქრა — კანონის თანახმად, დისკვალიფიკაცია საჩივრის განხილვამდე ვერ ამოქმედდება.

ფეხბურთის ასოციაციის ოფიციალურ განცხადებაში წერია:

„შესაბამისმა კომისიამ აღმოაჩინა, რომ ბატონმა სტრეტფორდმა, 2002 წლის 17 ივლისს, ბატონ რუნის ხელშეკრულება გაუფორმა კომპანია Proactive Sports Management Limited-თან, მაშინ როდესაც კარგად მოეხსენებოდა, რომ რუნის კონტრაქტი Pro-Form Sports Management Limited-თან ჯერ კიდევ ძალაში იყო“.

აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელის წინა აგენტისგან გატყუება სტრეტფორდს არ დაუმტკიცდა, მაგრამ ფეხბურთის ასოციაციას ამაზეც აღმოაჩნდა კონკრეტული პასუხი:

„კომისიამ აღმოაჩინა ისიც, რომ სტრეტფორდმა უორინგტონის სასამართლოში 2002 წლის 27 ივლისსა და 2002 წლის 19 სექტემბრის ხელშეკრულებებთან დაკავშირებთ ყალბი მოწმეების ჩვენებები წარადგინა“.

გარდა ამისა, გამოაშკარავებულ თაღლითს თურმე საკუთრივ რუნიც მოუტყუებია და მასთან რვაწლიანი კონტრაქტი გაუფორმებია, მაშინ როდესაც აგენტებსა და კლიენტებს შორის კანონი მხოლოდ ორწლიანი(!) ხელშეკრულებების გაფორმების უფლებას იძლევა.

დამტკიცდა ამ ბრალდებებს გარდა წარდგენილი სამი სხვა სახის ბრალდებიდან ორიც.

პაპუნა კედია

გლების გაქცევა ფსიქოლოგისგან

ამ უქმეებზე ბელარუსი ფეხბურთელი, ალექსანდრ გლები ოცნებას აიხდენს და „ბარსელონას“ წევრი გახდება — „არსენალში“ თამაშით სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა კატალონიელებთან უკვე შეათანხმა ოთხწლიანი კონტრაქტის პირობები.

მასთან ერთად „არსენალიდან“ ჟილბერტო სილვაც მიდის. სილვას ახალი კლუბი ბერძნული „პანათინაიკოსი“ იქნება.

მაგრამ, ერთია გლებისა და „ბარსელონას“ მოლაპარაკება და მეორე, „ბარსელონასა“ და „არსენალის“ ვაჭრობა — ესპანური კლუბი გლებში 15 მილიონი გირვანქის გადახდას აპირებს: 15 მილიონი გირვანქა 29, 71 მილიონი დოლარი გახლავთ. თან, „ბარსელონას“ გეგმის თანახმად, „არსენალი“ ამ თანხას ერთბაშად არ მიიღებს. ერთბაშად კატალონიელები ლონდონელთა ანგარიშზე 12,5 მილიონი გირვანქის გადარიცხვას აპირებენ, დანარჩენ ორნახევარს კი ორი წლის მანძილზე გაუსტუმრებენ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ბელარუსი თავს გამოიჩენს და გუნდი მისი დახმარებით ტიტულებს მოიპოვებს.

დათანხმდება ამ ვარიანტს „არსენალი“? სავარაუდოდ არა, რადგან 15 მილიონ გირვანქას, ყოველგვარი კომბინაციის გარეშე „ბაიერნი“ იხდის.

ინგლისური გაზეთები წერენ, რომ ოფიციალურად, „ბარსელონამ“ უეფას დებულება დაარღვია და მოლაპარაკებები გაუმართა კაცს, რომელსაც თავის კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი ჯერ კიდევ აკავშირებდა, მაგრამ „არსენალი“ ამის გამო ხმაურის ატეხვას არ აპირებს და საქმიანად აგრძელებს მოლაპარაკებებს, რომელთაც საფუძველი სამი თვის წინ ჩაეყარა.

რამდენადაც ცნობილია, „არსენალის“ თავკაც არსენ ვენგერს გლების შენარჩუნების იმედი იმთავითვე აღარც ჰქონდა, თუმცა ეგონა, რომ ბელარუსი მილანის „ინტერისკენ“ აიღებდა გეზს — „ინტერში“ ხომ მწვრთნელად ჟოზე მაურინიუ მივიდა, მაურინიუს კი გლების თამაში ყოველთვის მოსწონდა.

„მე არსენ ვენგერს შევხვდი და ველაპარაკე — განუცხადა ინგლისელ ჟურნალისტებს გლებმა — მინდა განვაცხადო, რომ კარიერაში ასეთი მწვრთნელი არ მყოლია და განა მხოლოდ მწვრთნელი? ის ძალიან კარგი კაცია, ნამდვილი ფსიქოლოგი. ფეხბურთელებისადმი მის მიდგომას ყოველთვის ვეთაყვანებოდი“.

გლების გაყიდვით მიღებულ თანხას „არსენალი“ ფრანგი სამირ ნასრის საყიდლად მოიხმარს. ნასრის „მარსელი“ 11,5 მილიონ გირვანქას აფასებს. ზემოხსენებულ ჟილბერტოში კი ლონდონელები დამატებით 2 მილიონსაც მიიღებენ.

პაპუნა კედია

შენ ამზადებ, მას მიჰყავს

„ლივერპულის“ მწვრთნელი რაფა ბენიტესი შიშობს, რომ მისი გუნდის ჰოლანდიელი ფეხბურთელი რაიან ბაბელი კოჭის ტრავმის მოშუშების შემდეგ პეკინის ოლიმპიადაზე გაემგზავრება.

ნაკრებში მიღებულმა კოჭის ტრავმამ ბაბელს ევრო 2008 გამოატოვებინა, თუმცა ახლა საქმე უკეთესობისკენ მიდის, ოღონდ... ბენიტესს არანაირი რისკის გაწევა არ სურს და თავისი ფეხბურთელი სეზონის დაწყებისთვის სრულ ჯანზე სჭირდება.

„ჩვენ მართლა ძალიან შეშფოთებულები ვართ, რადგან ამ ფეხბურთელს, როგორც იქნა, ტრავმა უშუშდება, მაგრამ მისი გამოჯანმრთელება და ოლიმპიურ ნაკრებში გამგზავრება, შესაძლოა, ერთი აღმოჩნდეს. ეს დიდი პრობლემაა. მოთამაშეებს ჩვენ ვამზადებთ, ისინი კი უცებ ნაკრებებში მიდიან“.

ცნობისთვის: ბაბელი „ლივერპულთან“ ერთად უკვე ვარჯიშობს.

„ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ რაიანი ვარჯიშს დაუბრუნდა. მან ყველა ღონე იხმარა, რათა ნაკრებში მიღებული ტრავმა რაც შეიძლება მალე დაამებოდა. „ლივერპულში“ ის უკვე მეორე სეზონს ატარებს. პირველი სეზონი ბაბელისთვის უფრო შეგუებისა გახლდათ, ახლა კი ის გაცილებით მნიშვნელოვანი ფიგურა ხდება“ — განაცხადა ბენიტესმა.

პაპუნა კედია

რაფაელს გუნდი დედისკენ მიუწევს



ჰოლანდიის ნაკრებისა და გერმანული „ჰამბურგის“ ნახევარმცველ რაფაელ ვან დერ ვაარტზე ერთბაშად ორი მადრიდული კლუბი — „რეალი“ და „ატლეტიკო“ ოცნებობს, თუმცა „სამეფო კლუბმა“ 5 მილიონი ევროთი მეტი, ანუ 20 მილიონი შესთავაზა გერმანულ კლუბს.

რა თქმა უნდა, ჰოლანდიელს „რეალში“ გადასვლა სურჩევნია და მასთან აწარმოებს მოლაპარაკებას. თურმე რაფელის დედა, ლოლიტა, ესპანელი ყოფილა, რაც სტიმულს მატებს მის ვაჟს.

„ესპანეთში თამაში ჩემი ოცნებაა, რადგან დედაჩემი წარმოშობით ესპანელია“ — თქვა რაფაელმა.

წინა სეზონში ვან დერ ვაარტს კიდევ ერთი ესპანური კლუბი, „ვალენსიაც“ ეპოტინებოდა, მაგრამ „ჰამბურგმა“ უარი განაცხადა მის გაშვებაზე.

შეგახსენებთ, რომ ბოლო პერიოდში ვან დერ ვაარტით ბევრი კლუბი იყო დაინტერესებული, ტურინის „იუვენტუსის“ თამადობით.

არჩილ კოგბახიძე

ბარბარესოების დასასრული

36 წლის ბოსნიელმა სერგი ბარბარესმა კარიერა დაასრულა. მისი კონტრაქტის ვადა „ლევერკუზენთან“ წინა სეზონის ბოლოს ამოიწურა და ახლაღა გადაწყვიტა ფეხბურთიდან წასვლა.

„სიბერეში ფულის საკეთებლად გუნდის მოძებნას აღარ ვაპირებ. ბოლო ორი წელი ისედაც ოჯახისგან მოწყვეტილი ვიყავი და საკმარისია“ — თქვა ბოსნიელმა „ბილდთან“.

შემტევმა ნახევარმცველმა თამაში „მოსტარში“ დაიწყო და მას შემდეგ 17 წელი ბუნდესლიგაში — „ჰანოვერში“, „უნიონში“, „ჰანზაში“, „დორტმუნდში“, „ჰამბურგში“ და „ლევერკუზენში“ გაატარა.

ბოსნიის ნაკრებში 46 მატჩში 17 გოლი გაიტანა, 330 ბუნდესლიგურ შეხვედრაში კი 96 გოლი შეაგდო.

ბოლონიური ამბები

„ბოლონიაში“ მატებაა. 24 წლის ბრაზილიელი დიეგო როსა კოლიუ „როსობლუში“ „კორინთიანსიდან“ იჯარით გადავიდა. კოლიუ უკვე იყო სინჯებზე „სელტიკში“, წინა სეზონი კი „ატლეტიკო მინეირიოში“, ასევე იჯარით აგატარა.

კონტრაქტის გაფორმებასთან ახლოა „რომას“ იმედისმომცემი თავდამსხმელი სტეფანო ოკაკა-ჩუკა, რომელიც წინა სეზონში ქვედადივიზიონურ „მოდენაში“ განათხოვრებით იმყოფებოდა.

არჩილ კოგბახიძე

გაზაევის დასასრული



მოსკოვის ცსკა-ს პრეზიდენტი ევგენი გინერი და მწვრთნელი ვალერი გაზაევი შეთანხმდნენ, რომ მომავალი სეზონიდან გუნდს ახალი თავკაცი ეყოლება.

ვალერ გაზაევი, ვინაც საშჯერ ჩემპიონატი, ოთხჯერ თასი, ორჯერ სუპერთასი და ერთხელ უეფას თასი (2005) მოიგო, ამ სეზონის ბოლოს საკუთარი ნებით წავა.

„ახლავე უნდა ვთქვა — განაცხადა გინერმა პრესკონფერენციაზე — ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ წინა ტურში მოსკოვის „დინამოსთან" წავაგეთ, გაზაევს მანამდე ჰქონდა წასვლა გადაწყვეტილი. ასეთი ვითარება ნებისმიერ ადამიანს შეიძლება შეექმნას, ვინც ერთ საქმეს რამდენიმე წელიწადს ემსახურება. ვალერი ვასილიჩი დაიღალა და ამაში განსაკურთებული არაფერია. ექვს წელიწადში ერთად ბევრი ჯილდო მოვიგეთ.

ამასთანავე გეტყვით, რომ მწვრთნელს სეზონის ბოლომდე დარჩენაზე მოვურიგდით. ჯერ ჩემპიონატში მხოლოდ ათი ტური მიილია და კიდევ 20 დარჩა. ეს კი ნიშნავს, რომ ვითარების გამოსწორება შესაძლებელია. როგორც იტყვიან, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან. ევროპაში მსგავსი რამ ხშირად ხდება. მაგალითად, „ბაიერნმა" გერმანიაში წინა სეზონში ყველა ჯილდო მოიგო, მაგრამ გუნდმა იანვარშივე იცოდა, რომ ზაფხულში მწვრთნელი შეეცვლებოდა.

ჩვენი ფეხბურთელები გინერისა და გაზაევისთვის არ თამაშობენ. ისინი ცსკა-ს ღირსებისთვის იბრძვიან და მერწმუნეთ, რომ ღირსება მთავარია."

თავის მხრივ, ვალერი გაზაევმა თქვა: „ჩემი გადაწყვეტილების მიზეზი მარტივია — დავიღალე. ცსკა-მ ამ შემადგენლობით მოიგო ყველაფერი, რაც შეეძლო და დადგა მწვრთნელის შეცვლის დრო. კლუბის პრეზიდენტს სამი დღის წინ მივმართე, არგუმენტები დავულაგე და ვუთხარი, რომ წასვლა მსურდა. პრეზიდენტმა მთხოვა, სეზონი დამესრულებინა. ადამიანს, რომელთანაც ექვსი წლის განმავლობაში კარგი ურთიერთობა მქონდა, უარს ვერ ვეტყოდი. დიდი გზა ერთად გავიარეთ და ევგენი გინერის მადლობელი ვარ.

გარდა ამისა, ჩემი გადაწყვეტილება უცვლელია, თუნდაც რუსეთის ჩემპიონები გავხდეთ. კონტრაქტი 2011 წლამდე მქონდა, თუმც სეზონის ბოლოს მივდივარ".

ვაჟა ხუციშვილი

ჯროოსის ვახშამი

შარშან, როცა ტონი ჯროოსი ყოველდღიური ვარჯიშის შემდეგ კლუბის აკადემიაში ბრუნდებოდა, ვერც წარმოიდგენდა, რომ სულ ცოტა ხანში პოპულარული გახდებოდა. მაშინ მხოლოდ მწვრთნელები და ექსპერტები ცნობდნენ ნიჭიერ ბიჭს, დღეს კი „ბაიერნის" თინეიჯერი ქომაგები მას ავტოგრაფისთვის დასდევენ. ჯროოსი „ბაიერნის" ისტორიაში უყრმესი ფეხბურთელია, ვისაც ბუნდესლიგაში ბურთი გაუგორებია. მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატზე შარშან საუკეთესოდ დაასახელეს.

— რამდენად შეიცვალა შენი ცხოვრება ბოლო ერთ წელიწადში?

— რაღაც ცვლილებები მოხდა. შარშან ამ დროს „ბაიერნის" მეორე გუნდში სეზონი დავასრულე თუ არა, მითხრეს, რომ მთავარ გუნდთან ერთად შეკრება უნდა გამევლო. ორჯერ ივარჯიშე და მწვრთნელმა შემაქო. მეტი შეგიძლია და ძირითად შემადგენლობაში გათამაშებო.

— „ბაიერნის" მთავარ გუნდამდე მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატზეც შთამბეჭდავად ითამაშე...

— ჩემთვის მართლა სასარგებლო ტურნირი გამოდგა, რადგან ამის შემდეგ ყურადღება მომაქციეს. მერე იყო დებიუტი ბუნდესლიგაში, მატჩი ბელგრადში და ოტმარ ჰიცფელდის ნდობაც მოვიპოვე.

— ახლა რა მიზნები გაქვს?

— ლოგიკურია, რომ შარშანდელზე უფრო მეტად მსურს ძირითად შემადგენლობაში თამაში. ჯერ ის არ ვარ, რაც მინდა, რომ ვიყო. აქ დიდი კონკურენციაა და ბრძოლა რთული იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შევძლებ კარგი ფეხბურთის თამაშს.

— რომელ პოზიციაზე?

— შემტევ ცენტრალურ ნახევარმცველად. ვფიქრობ, რომ სწორედ ცენტრში თამაში გამომდის ყველაზე უკეთ. სამწუხაროდ, „ბაიერნში" ვერ მოითხოვ, ან აქ მათამაშეთ, ან იქო, რადგან თუ ამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ხვდები, ამითაც კმაყოფილი ხარ.

— შენს სუსტ და ძლიერ მხარეებზე რას იტყვი?

— დარტყმა, პასი და დრიბლინგი კარგი მაქვს. თავით თამაში და მცველთა დახმარება უნდა ვისწავლო და სწორედ ამაზე ვმუშაობ.

— კლინსმანის ვარჯიშებმა რა შთაბეჭდილება დაგიტოვა?

— ვფიქრობ, ყველაფერი კარგად მიდის. დღეში ორჯერ ინტენსიურად ვვარჯიშობთ, ცხრიდან ექვს საათამდე ბაზაზე ვართ.

— რამდენიმე კვირის წინ აკადემიაში ცხოვრობდი, ახლა კი საკუთარი ბინა გაქვს და მართვის მოწმობაც აიღე. კიდევ რა გსურს?

— ვახშამი. ბაზაზე ვსაუზმობთ და ვსადილობთ, მერე კი ცალკე უნდა ვივახშმო. ისე, მარტო ცხოვრებასაც აქვს ხიბლი. და კიდევ — ავტომობილში სანავიგაციო სისტემა მჭირდება, რადგან მიუნხენის დახლართულ გზებში ვერ ვერკვევი.

— მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებში რატომ აღარ ითამაშე?

— წინა სეზონში შევთანხმდით, რომ მხოლოდ კლუბში ვიქნებოდი, ახლა კი არ ვიცი, რა იქნება, გამომიძახებენ თუ არა 19-წლამდელებში.

— ჰიცფელდმა თქვა, რომ ოდესმე ბუნდესნაკრების ლიდერი გახდები...

— ამაზე ახლა სულ არ ვფიქრობ. მიხაელ რენსინგის სიტყვები მახსენდება: „გახდი „ბაიერნის" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი და მერე ყველაფერი თავისთავად მოვა".

რაიკოვიჩი გაანათხოვრეს

ლონდონის „ჩელსიმ" ერთი წლით „ტვენტეში" სერბი სლობოდან რაიკოვიჩი გაანათხოვრა.

19 წლის ფორვარდი „ჩელსიში" 2005 წელს გადაბარგდა, მაგრამ ერთხელაც არ გასულა მინდორზე. უკანასკნელი სეზონი კი პსვ-ში გაატარა.

პარმას ლეონის იმედი აქვს

ჰონდურასელი ხულიო სესარ ლეონი „პარმას" საკუთრება გახდა. ის 2001 წლიდან თამაშობდა იტალიურ კლუბებში და სულ ბოლოს „ჯენოას" შემადგენლობაში ირიცხებოდა. ლეონი ცნობილია თავისი საჯარიმოებითა და შორეული ზუსტი დარტყმებით. როგორც ჩანს, გასულ სეზონში სერია B-ში დაქვეითებული „ენიო ტარდინის" ბინადრები წლეულს ყველანაირად შეეცდებიან უმაღლეს დივიზიონში დარჩენას.

ლუის გარსია თითქმის ტოტენჰემელია

ბრიტანული პრესის ცნობით, ლონდონის „ტოტენჰემი" „ესპანიოლს" ლუის გარსიას ტრანსფერზე შეუთანხმდა. ბარსელონური კლუბის ფორვარდით ლისაბონის „ბენფიკაც" ყოფილა დაინტერესებული, მაგრამ „დეზების" წინადადება უფრო მომხიბვლელი გამოდგა. 27 წლის ნიჭიერი თადვამსხმელის „ტოტენჰემში" ოფიციალურად გადაბარგებას დღე-დღეზე ელიან. ტრანსფერის დეტალები და კონტრაქტის ხანგრძლივობა ჯერჯერობით არ ხმაურდება.

დაბრუნება მგლის ბუნაგში

„ვოლფსბურგმა" 18 წლის ნახევარმცველი კევინ ვოლცი „ბოლტონიდან" დაიბრუნა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

ვოლცმა შარშან თავი გამოიჩინა ჯერ 17-წლამდელთა ევროპის, მერე კი მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც გერმანია ნახევარფინალში გავიდა.

„ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ შესაძლოა ძირითად შემდგენლობაში ადგილი დაიმკვიდროს" — თქვა „მგლების" მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა. შეგახსენებთ, რომ „ვოლფსბურგი" უეფას თასზე ითამაშებს.

არჩილ ძოგასხიძე

დავიდ ტრეზეგე ოჯახისთვისაც უფრო მოიცლის

დავიდ ტრეზეგე ნაკრებიდან წავიდა

დავიდ ტრეზეგემ სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ამისკენ 30 წლის ფორვარდს „მამლების" მთავარი მწვრთნელის პოსტზე რაიმონ დომენეკის დატოვებამ უბიძგა.

როგორც იცით, ტრეზგეს დომენეკთან კარგი ურთიერთობა არასდროს ჰქონია და მწვრთნელმა ის ევრო 2008-ის მიღმაც დატოვა. არადა, „ტრეზეგოლმა" გასულ სერია A-ში 20 გოლი გაიტანა.

ავსტრია-შვეიცარიაში „მამლებმა" ძალიან ცუდად ითამაშეს და ჯგუფში ისე ჩარჩნენ, რომ მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხეს, მაგრამ ბევრი კრიტიკის მიუხედავად, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ დომენეკის პოსტზე დატოვება გადაწყვიტა.

„დომენეკი რჩება და მე კი მივდივარ ნაკრებიდან. ეს ევროპის ჩემპიონატზე საფრანგეთის საშინელმა გამოსვლამ და მწვრთნელის პოსტზე მაინც დატოვებამ გადამაწყვეტინა. ფეხბურთი ცოტა სხვანაირად მესმის, ვიდრე ფედერაციის ხელმძღვანელობას. ცუდი ევრო 2008-ის შემდეგ, ყველა დომენეკის მოხსნას ითხოვდა, მაგრამ იგი დატოვეს და ამან საბოლოოდ ამიცრუა გული. ეს უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, ვიდრე ყველაფრის აწონ-დაწონვის შედეგად გაკეთებული არჩევანი. საყოველთაო აზრს, პატივი არ სცეს" — თქვა ნაწყენმა ტრეზეგემ.

გოლეადორს საფრანგეთის ნაკრებში 71-ჯერ უთამაშია და 34 გოლი აქვს გატანილი. ახლა ის მთელ ყურადღებას თავის კლუბს, ტურინის „იუვენტუსს" დაუთმობს, რომელშიც 2000 წლიდან თამაშობს.

„მომავალ სეზონში რომელიმე ტიტულის მოგება გვსურს. ამის გასაკეთებლად კი რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გვჭირდება, რომლებიც გაგვაძლიერებენ. კლუბის უფროსობა სწორი მიმართულებით მუშაობს და იმედია, ყველაფერი გამოვა" — დასძინა ტრეზეგემ.

გიორგი ძაძაბაძე

სარბიელი: კროკერ

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ავსტრია. I დივიზიონი						
		11 ივლისი						
21:00	150	ლუსტენაუ-გრატკორნი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
21:00	151	ვოცკაბრიუკი-ლეობენი	2.40	3.20	2.50	1.37	1.22	1.40
21:00	152	ადმირა-აუსტრია მ	1.85	3.30	3.50	1.18	1.21	1.69
21:00	153	სტ პოლტენი-ზალცბურგი მ	2.35	3.10	2.65	1.33	1.24	1.42
21:00	154	გროდიგი-აუსტრია ლუსტენაუ	2.75	3.20	2.25	1.47	1.23	1.32
		12 ივლისი						
19:00	155	მაგნა ნ-ტიროლი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
		რუსეთი. პრემიერლიგა						
		12 ივლისი						
16:00	20	ამკარი-ენერგია	1.44	3.40	7.50	1.01	1.20	2.33
16:00	21	სპარტაკი-ცსკა	2.40	2.80	2.90	1.29	1.31	1.42
19:00	22	შინიკი-კრილია	3.20	3.00	2.15	1.54	1.28	1.25
		13 ივლისი						
15:30	23	ტომსკი-ნალჩიკი	2.15	2.90	3.25	1.23	1.29	1.53
16:00	24	დინამო მ-ლოკომოტივი მ	2.25	2.90	3.10	1.26	1.30	1.49
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		12 ივლისი						
21:00	54	ალესუნდი-ტრომსიო	2.80	3.40	2.35	1.53	1.27	1.38
		13 ივლისი						
20:00	51	სტრიომსგოდსეტი-ვოლერენგა	2.80	3.20	2.40	1.49	1.29	1.37
20:00	52	ბოდიო გლიმტი-მოლდე	2.05	3.40	3.25	1.27	1.25	1.66
22:00	55	სტაბეკი-ვიკინგი	1.85	3.40	3.85	1.19	1.24	1.80
20:00	57	ფრედრიკსტადი-ლილესტრომი	1.90	3.40	3.90	1.21	1.27	1.81
		14 ივლისი						
21:00	56	ლინი-ბრანი	2.75	3.20	2.45	1.47	1.29	1.38
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		12 ივლისი						
16:00	65	მოსი-ოდ გრენლანდი	2.90	3.40	2.20	1.56	1.25	1.33
		13 ივლისი						
20:00	59	ალტა-ლოვ ჰამი	3.10	3.40	2.10	1.62	1.25	1.29
20:00	60	სანდნესი-ბრინი	2.90	3.30	2.20	1.54	1.25	1.32
20:00	61	სანდეფიორდი-ჰაუგესუნდი	1.70	3.40	4.35	1.13	1.22	1.90
20:00	62	სოგნდალი-ჰიოდი	1.60	3.70	5.00	1.11	1.21	2.12
20:00	63	ნოტოდენი-სტარტი	2.70	3.20	2.35	1.46	1.25	1.35
20:00	64	ჰიონეფოსი-კონგსვინგერი	1.70	3.50	4.30	1.14	1.21	1.92
20:00	66	ნიბერგსუნდი-სპარტა ს	2.10	3.40	2.90	1.29	1.21	1.56
		ფინეთი. ვაიკაუსლიგა						
		12 ივლისი						
19:30	72	ტამპერე-ჰონკა	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
		13 ივლისი						
19:30	73	ვპს-როვანიემი	2.15	3.10	3.35	1.26	1.30	1.61
19:30	74	კუოპიო-იარო	2.60	3.30	2.45	1.45	1.26	1.40
19:30	75	მარიეჰამნი-ლაჰტი	2.35	3.20	2.80	1.35	1.27	1.49
19:30	76	ჰიკ-ჰაკა	1.85	3.20	4.20	1.17	1.28	1.81
		14 ივლისი						
20:00	77	ინტერი-მიუპა	2.15	3.20	3.25	1.28	1.29	1.61
		ირლანდია. პრემიერ დივიზიონი						
		11 ივლისი						
23:00	87	ფინ ჰარპსი-კორკი	5.20	3.40	1.60	2.05	1.22	1.08
22:45	89	დერი-ბრეი	1.65	3.40	5.20	1.11	1.25	2.05
22:45	90	გალვეი-სლიგო	2.80	3.20	2.35	1.49	1.27	1.35
22:45	91	დუბლინი-შემროკი	2.55	3.10	2.60	1.39	1.28	1.41
		12 ივლისი						
22:45	92	კობი-სტ.პატრიკსი	5.20	3.40	1.60	2.05	1.22	1.08
		იაპონია. J ლიგა						
		12 ივლისი						
14:00	93	ომია-ივატა	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
14:00	94	ნაგოია-კაშივა	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
14:00	95	გამბა-კავასაკი	1.85	3.20	3.75	1.17	1.23	1.72
13:00	96	ვერდი-კიოტო	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
13:00	97	შიმიცუ-კობე	1.75	3.20	4.30	1.13	1.24	1.83
13:00	98	ოიტა-ურავა	3.50	3.20	1.90	1.67	1.23	1.19
		13 ივლისი						
14:00	99	კაშიმა-ტოკიო	1.45	3.70	6.00	1.04	1.16	2.28
14:00	100	იჩიჰარა-საპორო	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
14:00	101	იოკოჰამა ფმ-ნიიგატა	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
		აშშ. MLS						
		12 ივლისი						
23:55	105	სან ხოსე-კოლორადო	2.40	3.20	2.50	1.37	1.22	1.40
		13 ივლისი						
05:00	104	სოლტ ლეიკი-კოლამბუსი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
04:30	106	ჩიკაგო-ტორონტო	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
		საერთაშორისო. ამხანაგური მატჩები						
		11 ივლისი						
22:30	139	ბრენტფორდი-იფსვიჩი	3.20	3.40	1.90	1.64	1.19	1.21
		12 ივლისი						
18:00	140	აბერდინი-მანჩესტერი	6.40	3.50	1.43	2.26	1.16	1.01
18:00	141	ებსფლიტი-ჩარლტონი	5.00	3.50	1.52	2.05	1.16	1.05
18:00	142	ციურიხი-ასტონ ვილა	3.00	3.10	2.10	1.52	1.23	1.25
18:00	143	ფორესტ გრინი-ბრისტოლი	4.00	3.50	1.65	1.86	1.16	1.12
18:00	144	სიონი-ევერტონი	3.40	3.40	1.85	1.70	1.19	1.19
18:00	145	ტრანმერე-ლივერპული	8.00	4.20	1.30	2.75	1.11	1.00
18:00	146	რექსემი-ვულვერჰემპტონი	5.20	3.50	1.52	2.09	1.17	1.05
		უეფა. ევროპის ჩემპიონატი 19						
		14 ივლისი						
17:30	156	ბულგარეთი 19-უნგრეთი 19	2.90	3.20	2.15	1.52	1.23	1.28
17:30	157	ჩეხეთი 19-ინგლისი 19	2.75	3.10	2.35	1.45	1.26	1.33
19:30	158	გერმანია 19-ესპანეთი 19	2.90	3.20	2.15	1.52	1.23	1.28
19:30	159	საბერძნეთი 19-იტალია 19	3.70	3.20	1.85	1.71	1.23	1.17
		UEFA. ინტერტოტოს თასი						
		12 ივლისი						
17:30	1	ელფსბორგი-ჰიბერნიანი	1.60	3.40	4.50	1.08	1.18	1.93
19:30	2	ბესა-გრასჰოპერი	4.00	3.40	1.75	1.83	1.21	1.15
20:00	3	ჰონვედი-ტეპლიცე	2.40	3.30	2.45	1.38	1.21	1.40
21:00	5	ბნეი-რენოვა	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
22:00	6	ბოჰემიანსი-რიგა	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46
22:00	7	ნოვა გორიცა-ბურგასი	1.70	3.30	3.80	1.12	1.17	1.76
		13 ივლისი						
18:00	8	რუსენბორგი-ეკრანასი	1.12	5.60	10.00	1.00	1.00	3.58
19:00	9	შახტიორი ს-შტურმი გრაც	2.65	3.30	2.15	1.46	1.18	1.30

შესაძლო ცვლილებები დაპაზუსტეთ ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	10	ეტცელა-სატურნი მ	7.70	5.10	1.25	3.06	1.07	1.00
20:00	11	ოდენსე-ტურკუ	1.35	4.10	7.50	1.01	1.14	2.65
20:00	12	სივასპორი-გრბალი	1.25	4.60	9.00	1.00	1.09	3.04
20:00	13	ტავრია-ტირასპოლი	1.30	4.30	7.50	1.00	1.10	2.73
21:30	14	პანიონიოსი-ბელგრადი	1.55	3.50	4.70	1.07	1.16	2.00

წყალბურთი. კაცები ეჩ 2008. ესპანეთი

11 ივლისი

18:30	169	რუსეთი-მაკედონია	2.10	5.00	1.85	1.47	1.00	1.35
21:30	170	ხორვატია-ჩერნოგორია	1.95	5.10	2.10	1.41	1.01	1.48
23:00	171	უნგრეთი-სერბეთი	2.00	5.00	2.10	1.42	1.02	1.47

ფრენბურთი. კაცები მსოფლიო ლიგა

11 ივლისი

19:00	172	რუსეთი-იტალია.	1.25	3.50				
21:00	173	ეგვიპტე-ჩინეთი.	1.80	1.80				
22:00	174	პოლონეთი-იაპონია.	1.10	6.00				
22:30	175	სერბეთი-ვენესუელა	1.04	8.50				

12 ივლისი

03:00	176	აშშ-ესპანეთი	1.10	6.00				
07:00	177	სამ კორეა-კუბა	2.50	1.40				
17:00	178	ბრაზილია-საფრანგეთი	1.10	6.00				
19:30	179	ბულგარეთი-ფინეთი	1.05	6.50				

ფრენბურთი. კაცები ევროპის ლიგა ავსტრია

11 ივლისი

20:00	180	გერმანია-თურქეთი	1.30	3.00				
22:30	181	ავსტრია-ბელარუსი	1.90	1.70				

ფრენბურთი. კაცები ევროპის ლიგა პორტუგალია

11 ივლისი

19:00	182	ჰოლანდია-საბერძნეთი	1.35	2.70				
21:30	183	პორტუგალია-დიდი ბრიტანეთი	1.02	8.00				

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10001	ელფსბორგი-ჰიბერნიანი	2.10	2.10	4.85	1.04	1.46	1.46
10002	ბესა-გრასჰოპერი	4.40	2.00	2.20	1.37	1.46	1.04
10003	ჰონვედი-ტეპლიცე	2.80	2.00	3.05	1.16	1.45	1.20
10005	ბნეი-რენოვა	2.15	2.10	4.60	1.06	1.46	1.44
10006	ბოჰემიანსი-რიგა	1.75	2.30	6.50	1.00	1.37	1.69
10007	ნოვა გორიცა-ბურგასი	2.15	2.10	4.60	1.06	1.46	1.44
10008	რუსენბორგი-ეკრანასი	1.30	2.80	8.00	1.00	1.11	2.07
10009	შახტიორი ს-შტურმი გრაც	3.05	2.00	2.90	1.20	1.48	1.18
10010	ეტცელა-სატურნი მ	5.80	2.50	1.65	1.74	1.28	1.00
10011	ოდენსე-ტურკუ	1.65	2.30	6.80	1.00	1.32	1.71
10012	სივასპორი-გრბალი	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10013	ტავრია-ტირასპოლი	1.60	2.30	7.50	1.00	1.31	1.76
10014	პანიონიოსი-ბელგრადი	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12001	ელფსბორგი-ჰიბერნიანი 2,5	1.65	1.85
12002	ბესა-გრასჰოპერი 2,5	1.70	1.80
12003	ჰონვედი-ტეპლიცე 2,5	1.90	1,70
12005	ბნეი-რენოვა 2,5	1.70	1.90
12006	ბოჰემიანსი-რიგა 2,5	1.90	1.70
12007	ნოვა გორიცა-ბურგასი 2,5	1.90	1.70
12008	რუსენბორგი-ეკრანასი 2,5	2.00	1.55
12009	შახტიორი ს-შტურმი გრაც 2,5	1.90	1.70
12010	ეტცელა-სატურნი მ 2,5	2.10	1.50
12011	ოდენსე-ტურკუ 2,5	1.95	1.65
12012	სივასპორი-გრბალი 2,5	2.00	1.60
12013	ტავრია-ტირასპოლი 2,5	1.95	1.65
12014	პანიონიოსი-ბელგრადი 2,5	1.70	1.90

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11001	ელფსბორგი-ჰიბერნიანი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11002	ბესა-გრასჰოპერი	6.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.60
11003	ჰონვედი-ტეპლიცე	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11005	ბნეი-რენოვა	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11006	ბოჰემიანსი-რიგა	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11007	ნოვა გორიცა-ბურგასი	2.60	10.00	20,00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11009	შახტიორი ს-შტურმი გრაც	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11010	ეტცელა-სატურნი მ	10.00	10.00	20.00	9.00	4.80	3.50	20.00	10.00	1.90
11011	ოდენსე-ტურკუ	1.70	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11012	სივასპორი-გრბალი	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11013	ტავრია-ტირასპოლი	1.65	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11014	პანიონიოსი-ბელგრადი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17001	ელფსბორგი-ჰიბერნიანი	1.85	1.95
17002	ბესა-გრასჰოპერი	1.85	1.95
17003	ჰონვედი-ტეპლიცე	1.85	1.95
17005	ბნეი-რენოვა	1.85	1.95
17006	ბოჰემიანსი-რიგა	1.85	1.95
17007	ნოვა გორიცა-ბურგასი	1.85	1.95
17008	რუსენბორგი-ეკრანასი	1.85	1.95
17009	შახტიორი ს-შტურმი გრაც	1.85	1.95
17010	ეტცელა-სატურნი მ	1.85	1.95
17011	ოდენსე-ტურკუ	1.85	1.95
17012	სივასპორი-გრბალი	1.85	1.95
17013	ტავრია-ტირასპოლი	1.85	1.95
17014	პანიონიოსი-ბელგრადი	1.85	1.95

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	ელფსბორგი-ჰიბერნიანი	3.00	2.80	2.00
15002	ბესა-გრასჰოპერი	3.00	2.80	2.00
15003	ჰონვედი-ტეპლიცე	3.00	2.80	2.00
15005	ბნეი-რენოვა	3.00	2.80	2.00
15006	ბოჰემიანსი-რიგა	3.00	2.80	2.00
15007	ნოვა გორიცა-ბურგასი	3.00	2.80	2.00
15009	შახტიორი ს-შტურმი გრაც	3.00	2.80	2.00
15011	ოდენსე-ტურკუ	3.00	2.80	2.00
15013	ტავრია-ტირასპოლი	3.00	2.80	2.00
15014	პანიონიოსი-ბელგრადი	3.00	2.80	2.00

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წსონი წაგებულად ჩაითვლება)

14001	ელფსბორგი-ჰიბერნიანი	1.45	2.40
14002	ბესა-გრასჰოპერი	2.40	1.45
14003	ჰონვედი-ტეპლიცე	2.00	1.80
14005	ბნეი-რენოვა	1.45	2.40
14006	ბოჰემიანსი-რიგა	1.20	2.60
14007	ნოვა გორიცა-ბურგასი	1.45	2.40
14009	შახტიორი ს-შტურმი გრაც	2.10	1.75
14011	ოდენსე-ტურკუ	1.20	2.60
14013	ტავრია-ტირასპოლი	1.08	2.90
14014	პანიონიოსი-ბელგრადი	1.45	2.40

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16001	ელფსბორგი-ჰიბერნიანი	1.24	3.60
16002	ბესა-გრასჰოპერი	2.90	1.32
16003	ჰონვედი-ტეპლიცე	1.70	1.95
16005	ბნეი-რენოვა	1.25	3.40
16006	ბოჰემიანსი-რიგა	1.11	5.70
16007	ნოვა გორიცა-ბურგასი	1.25	3.40
16009	შახტიორი ს-შტურმი გრაც	1.85	1.80
16011	ოდენსე-ტურკუ	1.10	5.50
16012	სივასპორი-გრბალი	1.05	5.70
16013	ტავრია-ტირასპოლი	1.08	5.00
16014	პანიონიოსი-ბელგრადი	1.23	3.60

ქართველი გლადიატორები მოსკოვში ჯეკ პოტის მოსწნას აპირებენ

— ათი წლის ვიყავი კლასიკურ ჭიდაობაზე რომ მივედი და ექვსი წელი ვჭიდაობდი. მერე კონტაქტურ კარატეში გადავედი, საკმაოდ წარმატებულად. შავი ქამრის მფლობელი გავხდი და იქიდან მოყოლებული სულ ბრძოლაში ვარ — გვეუბნება **სოსო კობერიძე**.

— და გადაწყვიტე წესების გარეშე გებრძოლა?

— დიახ, 1998 წელს შიდოკანის ფედერაცია გავაკეთეთ. ეს არის კარატეს, ტაიქიქბოქსინგის და ჭიდაობის ნაზავი. იგივე პანკრატიონი, ანუ ბრძოლა წესების გარაშე. შიდოკანში ევროპის და მსოფლიოს პრიზიორი გავხდი და მსოფლიოს ჩემპიონი სპორტულ პანკრატიონში და ბრძოლებს უცხოეთში ვმართავდი. ერთხელაც ჩავედი ჩიკაგოში, მივიღე ექსკლუზიური კონტრაქტი, რომ საქართველოში შოდოკანის და ექსტრემალური ორთაბრძოლების ფედერაცია გამეკეთებინა.

— იქამდე, ხომ პანკრატიონის წესებით ძმები ზაზა და კობა ტყეშელაშვილები და ტარიელ და ამირან ბიწაძეები ჩხუბობდნენ?

— დიახ, და პირველი „ფანჯარა“ სწორედ მათ გაჭრეს. ისინი შერეულ ბრძოლებში მონაწილეობდნენ და ქართველ მებრძოლებს სახელიც გაუთქვეს. ოფიციალური ფედერაცია კი ჩვენ დავაარსეთ. საერთოდ ჩვენი სახეობა სამი კომპონენტისგან შედგება. პირველი რაუნდი არის კონტაქტური კარატე, მერე ტაილანდური ქიქ-ბოქსი. ბოლო მესამე რაუნდი კი ბრძოლა წესების გარეშე მიმდინარეობს.

— საბოლოო შედეგი რაუნდებში დაგროვილი ქულებით ვლინდება?

— დიახ, თუ საქმე ნოკაუტამდე არ მივიდა. ზოგჯერ ხდება, რომ მებრძოლი პირველივე ან მეორე რაუნდში გაითიშება და ბრძოლა წყდება.

— მესამე რაუნდს ბრძოლა წესების გარეშე კი ჰქვია, მაგრამ როგორც ვიცით, იქაც არის შეზღუდვები.

— აკრძალულია ხერხემალსა და წელს ქვემოთ დარტყმა, თვალში თითის ტაკება.

— როდესაც დაუნდობელი ჩხუბია, ალბათ ძალიან რთულია ამ წესების დაცვა...

— არა, ასე არ არის. აქ არიფები არ ჩხუბობენ. ყველას გამოვლილი აქვს მოსამზადებელი გზა და ფსიქოლოგიურად მდგრადი მებრძოლები არიან. პროფესიონალი „გლადიატორი“ წესების დარღვევას არ იკადრებს. ისე, ხდება ხოლმე, რომ წესები ირღვევა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს უნებლიედ ხდება. შემთხვევით მეც დამირტყამს მეტოქისთვის აკრძალულ ადგილას.

— სულ რამდენი ბრძოლა გაგიმართავს?

—სულ 82 ოფიციალური ბრძოლა გავმართე, აქედან 56 მოვიგე, 24 წავაგე და ორი ფრედ დავასრულე. დამწყები მებრძოლი რომ ვიყავი, საერთაშორისო ტურნირების პრიზიორიც გავხდარვარ. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებიც მომიგია. მაგრამ იქ სიგელების და მედლებს გარდა არაფერს იძლევიან და მოყვარულებში აღარ ვჩხუბობ, მხოლოდ კომერციულ ბრძოლებში ვმონაწილეობ.

— ჰონორარი რამდენია?

— ასე ვერ განსაზღვრავ. ყოფილა შემთხვევა, ბრძოლაში 200 ევრო ამიღია, ზოგჯერ 10 ათასიც... ერთხელ ამერიკაში იქაურ შავკანიან მებრძოლთან მქონდა 20 ათასიანი ჩხუბი, აშკარად ვაჯობე, მეტოქემაც რინგზე ხელი დაარტყა ვნებდებიო, მაგრამ იქაურმა მსაჯებმა გამარჯვება მაინც თავისიანს მიაკუთვნეს.

— ყოფილა შემთხვევები, როდესაც მებრძოლს „ტოტალიზატორზე“ ეთამაშა?

ჩვენში ბრძოლა წესების გარეშე 90-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა და პოპულარობა იქვე მოიპოვა. მართალია, ეს მასობრივი სახეობა არ გახდა, მაგრამ ძნელად, ბოლო ათწლეულში გავისხენოთ შემთხვევა, როდესაც სპორტის სასახლე ბოლომდე შეივსო. ჩვენმა „გლადიატორებმა“ კი ეს რამდენჯერმე მოახერხეს და ამ რამდენიმე შემთხვევიდან ორჯერ რუსეთის ნაკრები ისტუმრეს და ძვალ-რბილიც მაგრად უჟეჟეს. ჩვენში ბრძოლა წესების გარეშეს, საქართველოს შიდოკანის ფედერაციის პრეზიდენტი, ექსტრემალური ორთაბრძოლების მთავარი პრომოუტერი და შიდოკანის მე-5 დანის მფლობელი მსოფლიოს ჩემპიონი სოსო კობერიძე თავკაცობს, ვინც იმავდროულად პროფესიონალი „გლადიატორია“ და წლეულს ოქტომბერში კვლავ უმაღლესი ტიტულისთვის იბრძოლებს. მასთან ინტერვიუ კი კარიერის დასაწყისით დავიწყეთ...

ბადრი ჯიბლაძის ფოტო

— ჩვენთან ტოტალიზატორები აკრძალულია. ეგეთი რაღაცეები არალეგალურ ბრძოლებშია. ფსონებს იქ ჩადიან, ჩვენთან კი ეს აკრძალულია. პირადად მე აკრძალულ ბრძოლებში მონაწილეობა არასდროს მიმიღია. პროფესიონალი ვარ და ერთი-ორი კაპიკისთვის სახელს არ გავიფუჭებ.

— ყველაზე ძლიერი მებრძოლები რომელ ქვეყნებს ჰყავთ?

— რუსეთს, იაპონიას, ბრაზილიას და აშშ-ს. რუსებს მართლაც ძლიერი მებრძოლები ჰყავთ. ყველა კომპონენტში თანაბრად არიან მომზადებული. როდის რა ილეთით სჯობია მეტოქის დამარცხება. ეს თვითონ რინგზე, ბრძოლისას, ვითარების მიხედვით ხდება.

— თქვი, რომ რუსები ძალიან ძლიერები არიან, როგორც მახსოვს, 2004 წელს თბილისში მათი ნაკრები დაამარცხეთ.

— ასე იყო, მაშინ მართლაც მძიმე ჩხუბები გვქონდა. თავიდან 1:3 ჩამოვრჩით და ჩემი ბრძოლის ჯერი იყო. რომ წამეგო რუსებს ველარ დავამარცხებდით. მახსოვს მაშინ მაგრად დავიძაბე, როგორი საქმეა, ჩემზე იყო ყველაფერი დამოკიდებული. ჩემი ბრძოლა მოვიგე, მერე გია ჩირაგაშვილმა „გლადიატორმა“ დაუსვა საბოლოო გამარჯვების წერტილი და საბოლოოდ 4:3 გავიმარჯვეთ. სხვათა შორის, რუსეთის ნაკრები შარშანაც იყო ჩამოსული და ბრძოლები 7 ნოემბერს დავნიშნეთ. მაშინდელი პოლიტიკური მოვლენების გამო ტურნირს დიდი რეზონანსი არ მოჰყოლია, სამაგიეროდ, სპორტის სასახლე ბოლომდე შეივსო და ჩვენი ქომაგებისგან დამუხტულებმა რუსები კიდევ ერთხელ დავამარცხეთ. მაისში კი უკრაინაში ჩავედით, სადაც საკლუბო ჩემპიონატი იმართებოდა. ჩვენ „თბილისის“ სახელით ვჩხუბობდით. კიევში წინა დღით უნდა გაფრენილიყავით, მაგრამ რეისი სამჯერ გადაიდო და უძილოებმა მეორე დღეს დილით ტურნირის დაწყებამდე ერთი-ორი საათით ადრე ჩავაღწიეთ უკრაინაში. ბიჭები დაღლილები და გამოფიტულები იყვნენ, მაგრამ არ დაუწუწუნიათ გაიმარჯვეს. მე კიევში არ მიჩხუბია, რადგან ეს სამოყვარულო ბრძოლები იყო. ჩვენებიდან კი დათო „კვადრატა“ ტყეშელაშვილმა, ემზარ ტყეშელაშვილმა, გია კაბულაშვილმა და პაატა რობაქიძემ იჩხუბეს.

— თქვენს ფედერაციაში გაწევრიანების სურვილი ბევრს აქვს?

— შეიძლება არ დაიჯეროთ და ხანდახან ტელეფონს ვთიშავ იმდენი ზარი შემოდის, ჯერჯერობით არ გვაქვს საიმისო ბაზა, რომ ყველა მსურველი მივიღოთ. ხან სად ვვარჯიშობთ, ხან სად. ახლა ჩაფიქრებული გვაქვს და ალბათ მალე გამოგვივა კიდეც, ჩვენი პირადი სავარჯიშო დარბაზი გავაკეთოთ.

— ხშირად ხდება, რომ სახელიანი სპორტსმენები ბრძოლა წესების გარეშეში გადადიან. თქვენ თუ აპირებთ რომელიმე ცნობილი ქართველი მოჭიდავის, მოკრივის ან მორაგბის „გადაბირებას“?

— ასეთი ინიციატივა თავად რამდენიმე ცნობილი მოჭიდავისგან მოდის. ახლა მათ ვინაობას ვერ გეტყვით. პეკინის ოლიმპიადის შემდეგ კი სიურპრიზები აუცილებლად იქნება.

— მთლიანად ბრძოლებით ხართ დაკავებული თუ თქვენი პროფესიითაც მუშაობთ?

— საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიური ფაკულტეტი დავამთავრე, თუმც ჩემი პროფესიით ერთი დღეც არ მიმუშავია. ბიჭები კი ძალოვან სტრუქტურებში მუშაობენ.

— დაოჯახებული ხართ და მეუღლე როგორ ეგუება თქვენს საქმიანობას? ბრძოლებზე დადის?

— მეუღლე ყველანაირად გვერდით მიდგას. ბრძოლებზეც დადის და, ცხადია, მაგრად ნერვიულობს, ოღონდ გულის სიღრმეში იცის, რომ მოვიგებ და ვერავინ ვერაფერს დამაკლებს.

— შვილები გყავთ?

— ამ მხრივ გამიმართლა. სამი გოგო მყავს და საჩხუბრად საქმე არ ექნებათ. ეს ხუმრობით, სერიოზულად კი ბიჭი რომ მყავდეს, ვავარჯიშებდი და ვაჩხუბებდი კიდეც. ზოგს ჰგონია, რომ ჩვენი სახეობა სიცოცხლისთვის საშიშია, მაგრამ ასე არაა. მაგალითად ფეხბურთელმა ერთი მიკარებით შეიძლება სერიოზული ტრავმა მიიღოს, მორაგბეები კი სულ ძვლების მტვრევაში არიან და ტრავმას ასე იოლად არ იღებენ. ამით იმის თქმა მინდა, რომ როგორც და რასაც შეაჩვევ ორგანიზმს, ტრავმიანობაც შესაბამისი იქნება.

— დაბოლოს, უახლოესი ტურნირი როდის გელით?

— ოქტომბერში მოსკოვში „ჩემპიონთა თასი“ გაიმართება, სადაც მსოფლიოს რვა საუკეთესო მებრძოლი იჩხუბებს. ჩემს წონაში მოსკოვში ორი ქართველი ვიქნებით, მე და გია ჩირაგაშვილი, იგივე „გლადიატორა“. იმედია, ერთმანეთს ფინალში შევხვდებით და მთელ საპრიზო ფონდს, 60 ათას დოლარს, ჩვენ მოვხსნით.

ბაჩო სვანიძე

რიჩარდ მათიაშვილისთვის ათვლის წერტილი ევროპის ჩემპიონატია

უცხოეთისკენ მაცქერალი არც ავიამშენს ივიწყებს

ჩვენში ასეა, თუ მოთამაშეს უცხოურ კლუბში გადასვლის ვარიანტი გამოუჩნდა, საქართველოში დარჩენაზე არ ფიქრობს და უმეტეს შემთხვევაში საზღვარგარეთ მიდის. დღეს არაერთი ქართველი ცდილობს უცხოური კლუბის მონახვას და მათ შორისაა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და „ავიამშენის“ ცენტრი რიჩარდ მათიაშვილი. „რიჩო“ ახლახან იმყოფებოდა გერმანიაში, სადაც ქალაქ ფრანკფურტში თავისუფალ აგენტთა კემპი გაიმართა და მრავალი გუნდის წარმომადგენელი თუ მენეჯერი ახალი კონტრაქტის მაძებარ მოთამაშეებს გულისყურით აკვირდებოდა. მათიაშვილს რამდენიმე მსურველი გამოუჩნდა, თუმც ჯობს თავად მას მოვუსმინოთ...

— გერმანიაში ლევან მიქელაძის დახმარებით წავედი. მართალია, იგი ჯერ ჩემი ოფიციალური მენეჯერი არ არის, მაგრამ თუ ევროპულ გუნდში გადავალ, მიქელაძესთანაც გავაფორმებ კონტრაქტს.

— გერმანიაში კონკრეტულად რა ხდებოდა?

— ქალაქ ფრანკფურტში გაიმართა კემპი, სახელწოდებით „ქორთ საიდ“. ეს არ გახლდათ იმ სახის შეკრება, აქამდე რომ ვყოფილვარ. აქ ასაკი არ იყო შეზღუდული და მოთამაშეები იმიტომ შეიკრიბნენ, რომ მათთვის სხვადასხვა კლუბების წარმომადგენლებს შეეხედათ. ერთი სიტყვით, ეს იყო თავისუფალ აგენტთა კემპი, რომელშიც 60-ამდე კალათბურთელი ვიღებდით მონაწილეობას.

— ცნობილი მოთამაშეები თუ იყვნენ?

— იქიდან გამომდინარე, რომ მე საზღვარგარეთის ლიგებში არ მაქვს ნათამაშევი, ბევრს არ ვიცნობდი. რა თქმა უნდა, იყვნენ ნორმალური დონის მოთამაშეები — მაგალითად, კემპზე ჩემი თანაგუნდელი იყო დანიელი ცენტრი, რომელსაც თავის ეროვნულ ნაკრებში უთამაშია. იყვნენ შვედეთის და სხვადასხვა ეროვნული გუნდების წევრები, ასევე ამერიკელები, რომლებიც საკმაოდ ძლიერები არიან, მაგრამ ნბა-ში ვერ მოხვდნენ და ევროპაში ცდიან ბედს.

— რა სახის კემპი იყო, მატჩები გაიმართა?

— თავიდან ცოტა ვივარჯიშეთ, მერე კი გუნდები გაკეთდა და ვისპარინგეთ. ჩემს გუნდს „ევროპელი ვარსკვლავები“ ერქვა. იყო ასევე „ადრიატიკის ლიგა“, „ამერიკელი ვარსკვლავები“, „ევროპის ნაკრები“. ჩემთან იყო ის დანიელი ცენტრიც. საბოლოოდ სამივე მატჩი მოვიგეთ და ჩემპიონებიც გავხდით.

— და მთავარი კითხვა: დაინტერესდნენ შენით?

— როგორც ლევან მიქელაძემ მითხრა, 2 კლუბი დაინტერესდა და ვნახოთ, რა გამოვა. არ მინდა წინასწარ ლაპარაკი. თან მალე ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ვითამაშებ და მერე უფრო მკაფიოდ გამოჩნდება ყველაფერი.

— თუ უცხოური ვარიანტი არ გამოვიდა, სად ითამაშებ?

— „ავიამშენში“. ეს გუნდი კარგ პირობებს მთავაზობს და თუ უცხოეთში არ წავედი...

— ტრავმის გამო ბოლო ხანებში ახალგაზრდულ ნაკრებში რამდენიმე ვარჯიში გაგიცდა. ახლა როგორ ხარ?

— გერმანიიდან რომ ჩამოვედი, ქუსლი დავზიანე და ვარჯიშებიც ამიტომ გამიცდა. ახლა ყველაფერი კარგად არის, სრული დატვირთვით ვემზადები ევროპის ჩემპიონატისთვის.

— ახალგაზრდულ ნაკრებში ცენტრის პოზიციაზე თამაშობს გიორგი შერმადინიც და კონკურენციას გაუძლებ?

— ვარჯიშებზე, ერთმანეთში როცა ვთამაშობთ, ხშირად არის, რომ მწვრთნელი ერთ გუნდში გვათამაშებს მე და შერმადინს, თანაც ორივე ერთდროულად ვართ მოედანზე. მე უფრო უკან ვიხევ და თავდამსხმელად ვთამაშობ, შერმადინი კი გამოკვეთილი ცენტრია. 15 ივლისს იტალიაში, ამხანაგურ ტურნირზე მივდივართ და იქ უკვე ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებს ხუთეული.

— რას იტყვი ევროპის ჩემპიონატზე, მოვახერხებთ A დივიზიონში დარჩენას?

— საკმაოდ კარგი შემადგენლობა გვყავს და ვფიქრობ, ელიტაშიც დავრჩებით და ცოტა მეტსაც შევძლებთ. უკვე დროა, რომ ადგილის შენარჩუნებაზე კი არა, შედეგის მიღწევაზე ვიფიქროთ.

ირაკლი პერტაია

რატი მსხვილიძე

თურქებმა ქართველები ფიზიკურად დაჩაგრეს

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა მსოფლიოს სტუდენტურ ჩემპიონატზე მეოთხედფინალური თამაში თურქეთთან ჩაატარა და სამწუხაროდ 30:33 წააგო. ვენეციაში გამართული დაპირისპირება უკომპრომისოდ წარიმართა, დიდი სხვაობით გაქცევას ვერც ერთი ნაკრები ვერ ახერხებდა, მეტოქეები ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ. თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე 27:27 იყო და საბოლოოდ, როგორც ვთქვით ჩვენებმა ოდენ სამი ბურთით წააგეს. ნამატჩევს ნაკრების თავკაცმა ირაკლი კეკელიძემ ასეთი კომენტარი გააკეთა — თანაბარი თამაში იყო. თურქეთს ფიზიკურად ძლიერი, მებრძოლი ნაკრები ჰყავს. არაფერი არ დავუთმეთ, მაგრამ ბოლოს ფიზიკურად ცოტა დავიღალეთ. ზედიზედ ჩატარებულმა სამმა თამაშმა გავლენა იქონია. კმაყოფილი ვარ იმით, რომ კარგი ტურნირი იყო და ბიჭებმა საკმაო გამოცდილება მიიღეს. ყველამ კარგად ითამაშა, განსაკუთრებით კი შოთა თევზაძეს, რევაზ ჭანტურიას და ვლადიმერ რუსიას გამოვარჩევ.

ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა რატი მსხვილიძემ კი ეს გვითხრა: პირველი ტაიმი ქულა-ქულაში მიდიოდა. თურქებს ფიზიკურად კარგი ბიჭები ჰყავთ და დიდი ბრძოლა იყო. მეორე ტაიმის დასაწყისში 4 ბურთით გავვექცნენ. მერე მეც გამაძევა მსაჯმა და ერთი ხანობა კაცნაკლულებიც იყვნენ ბიჭები, მაგრამ მაინც მაგრად იდგნენ და ბოლო მომენტამდე გარკვეული არაფერი იყო. 10 წუთით ადრე 27:27 იყო, მერე კი ნელ-ნელა დაგვჯაბნეს. მე იაპონიასთანაც მაგრათ მტკიოდა ხელი, მაგრამ ისეთი დაპირისპირება იყო ტკივილს ვეღარც ვგრძნობდი, რაც შემეძლო დავეხმარე ბიჭებს, ყველა ბოლომდე დაიხარჯა. განსაკუთრებით ვლადიმერ რუსიას გამოვარჩევ.

ჩვენები ახლა მე-5 მე-8 ადგილისთვის სერბეთს ეთამაშებიან და რევანშის ასაღებად იბრძოლებენ ჯგუფში წაგებული თამაშისთვის.

ლეჭსო მაისურაძე

მაღალი ბიჭების მილიონები

არც ისე მძიმე ბრენდი და ძალიან მძიმე ბოგუტი



კონტრაქტზე ხელი მოწერილია, ელტონ ბრენდი „ფილადელფია სიქსერზის“ საკუთრებაა. „ლოს ანჯელეს კლიპერსიდან“ გაქცეულმა ნბ-ას ერთ-ერთმა უძლიერესმა მძიმე ფორვარდმა ახალ გუნდთან 5-წლიანი და 82-მილიონიანი ხელშეკრულება გააფორმა და ამით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა — კალათბურთელი ბლომად ფულს ჩაიჯიბავს, გუნდს კი ახალი სუპერვარსკვლავი ეყოლება, ვისი ლიდერობითაც ერთ-ორ წელიწადში ვინძლო ჩემპიონობისკენაც გაიწიოს.

უკმაყოფილება კი ბრენდმა ლოს ანჯელესში დატოვა. „კლიპერსს“ არ სურდა ვარსკვლავის დაკარგვა, მაგრამ „ფილადელფიასთან“ შედარებით, ასე 20 მილიონით ნაკლები შეაძლია და ვეღარც დააკავა. ბრენდს კიდევ რამდენიმე კლუბი ეკურკურებოდა, მათ შორის, „გოლდენ სტეიტიც“, მაგრამ არც მას აღმოაჩნდა წლიური 15 მილიონი.

ახალ ქალაქსა და ახალ გუნდში კი ახალმა კაცმა უკვე დაიწყო გაშინაურება და დაპირებების გაცემა. „ჩემი მხრივ, მძლავრ პირველ სეზონს გპირდებით“ — ამბობს საშუალოდ, მატჩში 20 ქულისა და 10 მოხსნის მკეთებელი, 203-სანტიმეტრიანი და 115-კილოგრამიანი მანქანა.

ფილადელფიელმა საკალათბურთო კრიტიკოსებმა ეჭვი გამოთქვეს, ჩვენი გუნდი სწრაფ კალათბურთს თამაშობს და ამ პლეი ოფშიც ასე გავიდა, პირამიდის სამშენებლო კუბივით მძიმე ელტონ ბრენდმა კი ემანდ არ შეგვინელოს ტემპიო. ეს ხალხი „სიქსერზის“ თავკაცმა მორის ბიქსმა დაამშვიდა, მთლად მასე მძიმეც არ არის, თქვენ რომ გგონიათ და ტემპს არ დავაგდებთო.

9 ივლისს კიდევ რამდენიმე თავისუფალმა აგენტმა ერთგულების ავტოგრაფი აღბეჭდა გუნდის მიერ შეთავაზებულ ახალ კონტრაქტზე. „მილუოკი ბაქსმა“ არ ისურვა ავსტრალიელი ძონძროხა ცენტრის ენდრიუ ბოგუტის გაშვება და საახალბედო სამი სეზონის გავლის შემდეგ ხუთწლიანი და 72,5-მილიონიანი მსუყე ხელშეკრულება შესთავაზა, რაზეც ამხელა კაცი ლამის ცეკვით დათანხმდა. 211-სანტიმეტრიანი ბოგუტი უკანასკნელ რეგულარულ ჩემპიონატში 19,3 ქულასა და 9,8 მოხსნას კი იხვეჭდა და ამ სტატისტიკით ლიგის საუკეთესო ცენტრებში გაერია კიდეც, მაგრამ ეს მაინც ის არ არის, რასაც 2005 წლის დრაფტის პირველი ნომრისგან ელოდნენ და რის გამოც შეიძლება, კაცს ამხელა ფული შეაძლიო. მაგრამ გაძვირდნენ ნბა-ში ხეირიანი ცენტრები და „მილუოკისაც“ ათეულობით მილიონთან განშორება მოუხდა, ზორბა ოზი რომ არ დაეკარგა.

„დალას მავერიკსს“ გაცილებით იაფი დაუჯდა სენეგალელი დერგან დიოპი, რომელიც, სიმართლე ვთქვათ და, ბოგუტის ნახევარიც ვერაა. „ამ კლუბმა გასული სეზონის შუაწელს „ნიუ ჯერსიში“ გაუშვა დიოპი და კიდევ რამდენიმე მოთამაშე, რათა იქიდან ჯეისონ კიდი წამოეყვანა, ახლა კი სენეგალელი ცენტრი თავისუფალი აგენტის სტატუსით დაიბრუნა 5-წლიანი და 31-მილიონიანი კონტრაქტით და სავარაუდოდ, ისევ ერიკ დამპიეს თადარიგში ეყოლება.

ირაკლი ფირაზვილი

როცა ბობოლები უძმობენ

სტანისლას ვავრინკა

საჩოგბურთო სამყარო ჩვეულებრივ რიტმს დაუბრუნდა. ერთთვიან ინტერვალში ორი სლემტურნირის მოლევის შემდეგ ყველაფერი ნელ-ნელა ლაგდება — თუმც ეს შტილი მხოლოდ აგვისტოს დასაწყისამდე გაგრძელდება, რის შემდეგაც ახალი ქარიშხალი პეკინში დაუბერავს, სადაც ოლიმპიადაზე სათამაშოდ ჩოგბურთელთა უმეტესობა აპირებს ჩასვლას.

ამ კვირას კი ერთბაშად ექვსი ტურნირი იმართება, თუმც ალბათ არ გაგიკვირდებათ იმის გაგება, რომ ბობოლათა უმეტესობა ჯერჯერობით დასვენებას ამჯობინებს — ორი დიდი საჩოგბურთო ფორუმი მოიტოვეს უკან და ახლა დასვენებას ამჯობინებენ.

ჩვენ კი ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ და შვეიცარულ გშტაადში მომხდარი ამბებითნ დავიწყოთ — წესით და რიგით, აქ როჯერ ფედერერსაც უნდა ეთამაშა, რადგანაც უიმბლდონური ბალახის შემდეგ დიად ალპელს უყვარს ხოლმე მშობლიური ტრიბუნების წინ გამოჩენა, თუნდაც ჩოგნაობა თიხნარზე უწევდეს. თუმც ამჯერად ფედერერს ასეთი წვრილწვრილი ტურნირებისთვის არ სცალია, რადგანაც ლონდონშო განცდილი ძალიან მწარე დამარცხება ჯერ კიდევ მოსანელებელი აქვს.

სხვა მხრივ კი მოქმედი ჩემპიონისა და წლეულს მეორე ნომრად განთესილი ჰოლ-ანრი მატიოს გასილაქების ამბავი ვთქვათ, რომელიც ახალგაზრდა ხორვატმა მარინ ჩილიჩმა ორ სეტში მიჩოგნა და ახლა მეოთხედფინალში იგორ ანდრეევს შეხვდება. ადგილობრივებს საგულშემატკივროდ სტანისლას ვავრინკა ჰყავთ, რომელიც აშკარად ტიტულზეა დაგეშილი. თუმც ეს შვეიცარიელი კინაღამ პირველივე შეხვედრაში დამარცხდა ნაკლებად ცნობილ თანამემამულე შტეფან ბოლთან და გაჭირვებით, მხოლოდ მესამე სეტის ტაიბრეიკზე გატეხა მეტოქე — 7:6 5:7 7:6.

აი, შტუტგარტში კი რაფაელ ნადალს ელოდნენ და დიდ დახვედრასაც უწყობდნენ, მაგრამ ესპანელმა იქაურებს მოუბოდიშა — უკაცრავად, მაგრამ მუხლების ტკივილი მაწუხებს და დასვენება მჭირდებაო. თანაც ახლახან ოცნებაასრულებულ მალიორკელს უიმბლდონის მოგებით დატკბობა უფრო უნდა და გერმანულ თიხნარზე სარბენად ნამდვილად არ სცხელა.

ეტყობა, მოჩვენებითი გამოდგა მარატ საფინის დიდ ჩოგბურთში დაბრუნების შესახებ ატეხილი აურზაური. მოგეხსენებათ, რუსმა ლონდონში თავისთვის საძულველ ბალახზე მშვენივრად ითამაშა და ნახევარფინალსაც უწია — ეს მისი საუკეთესო გამოსვლა იყო უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში. ამის შემდეგ იმედი გაჩნდა, ეგებ მარატმა შეძლოს ძველ დონეზე თამაშიო, მაგრამ შვედურ ბასტადში რუსმა გოლიათმა ისევ დაგვანახვა, რომ სტაბილურობასთან ვერ ძმაკაცობს. საფინმა შეცდომებს შეცდომები მიაყარა და პოტიტო სტარაჩეს გამარჯვება ხელებში მიაჩეჩა. სხვა ამბებიდან კი მასპინძელი ბიორნ რენკვისტის გამარჯვება გამოვყოთ, რომელმაც თანამემამულე მიკაელ რიდერშტადტს მოუგო. ეს მატჩი რატომ გამოვყავით? საქმე იმაშია, რომ რენქვისტი ბოლო შვედია, რომელმაც იუნიორებში სლემტიტულის მოგება შეძლო. თუმც ეს შორეულ 1997 წელს მოხდა, მას შემდეგ კი ამ ვიკინგს ხეირიანი არაფერი უქნია და კარგა ხანია, რეიტინგის უფსკრულშია ჩაკარგული. ახლა კი იმიტომ გავიხსენეთ, რომ შვედმა კალმოსნებმა რენკვისტს ამ გამარჯვების შემდეგ ირონიული სტატიების სეტყვა დააყარეს და ჩოგბურთელმაც ალბათ ინატრა, ნეტავ, ეს თამაში სულ არ მომეგოო.

კიდევ ერთი ტურნირი ამერიკულ ნიუპორტში იმართება, რომელიც ამასთანავე სეზონის უკანასკნელი საბალახო შეჯიბრია. პირველივე წრეში გაირკვა, რომ იქაურ ტრადიციას დარღვევა არ უწერია — საქმე იმაშა, რომ ტურნირის 32 წლიან ისტორიაში პირველ ნომრად განთესილს არასდროს უმარჯვია და წლეულსაც ასე იქნება, რადგანაც პირველი ნომერი მარდი ფიში უცბად დაიფრინეს. ეს მისია სრულიად უცნობმა ინდოელმა როჰან ბოპანამ იკისრა.

ქალები კი ამ კვირაში პალერმოსა და ბუდაპეშტში არიან თავმოყრილნი. აქ კი ბობოლებს მართლაც ვერსად მოჰკრავთ თვალს და ამიტომაც ძნელია რაიმე ისეთის გამოყოფა, მოსათხრობად რომ ღირდეს. ერთი იმას გეტყვით, რომ ბუდაპეშტში დიდად გაუცრუვდათ იმედები ადგილობრივებს, რადგანაც კნაჭა მასპინძელმა აგნეს სკავაიმ ერთი წრეც ვერ დაძლია და სლოვაკ ანდრეა კლეპაჩს ვერაფერი მოუხერხა.

ძახა ლომაშვილი

სამეული მასტერსის თასზე

მასტერსის თასზე, ანუ როგორც მას სხვანაირად წლის შემაჯამებელ ტურნირს ეძახიან, თამაშის უფლება უკვე გაინაღდეს რაფაელ ნადალმა, როჯერ ფედერერმა და ნოვაკ ჯოკოვიჩმა.

უიმბლდონის ახალდგამომცხვარი ჩემპიონი ესპანელი წლევანელ საჩემპიონო რბოლას ძალიან დამაჯერებლად ლიდერობს. რაფამ მიმდინარე სეზონში უკვე მოასწრო 56 მატჩის მოგება და მხოლო 7-ში დამარცხდა, გარდა ამისა, მის ანგარიშზე უკვე ექვსი ტიტულია — მონტე-კარლო, ბარსელონა, ჰამბურგი, ქუინზი და ორი სლემტიტული „როლან გარისისა“ (ზედიზედ მეოთხე) და უიმბლდონის სახით. გარდა ამისა, ნადალმა კიდევ ორ ფინალში ითამაშა — ინდურ ჩენაისა და კიბისკეინში.

„ბედნიერი ვარ, მასტერსის თასზე თამაშის უფლება რომ უკვე გავინაღდე. ამ ტურნირზე ყოველთვის სიამოვნებით გამოვდივარ, წლეულს კი იქ გასამარჯვებლად ცდას არ დავაკლებ“ — განაცხადა ნადალმა.

შანხაიში დაბრუნდება ფედერერიც, რომელიც საჩემპიონო რბოლაში მეორე ადგილზეა. მართალია, შვეიცარიელმა წლეულს მხოლოდ ორი ტიტული მოიგო (ეშტორილი და ჰალე), მაგრამ, სამაგიეროდ, ოთხი დიდი ტურნირის ფინალში იყო, თუმც ოთხჯერვე ნადალთან წააგო (მონტე-კარლო, ჰამბურგი, „როლან-გარისი“ და უიმბლდონი).

ჩინეთში ჩავა ჯოკოვიჩიც, რომელმაც სეზონის დასაწყისში საკმარისად ქულები მოიხვეჭა და დიდწილად ამის ხარჯზე გაინაღდა მასტერსის თასის საგზური. სერბის მთავარი მიღწევა წლეულს ავსტრალიური სლემის მოგებაა.

ჩვენში დარჩეს და ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რამხელა უფსკრულია ამ სამეულსა და დანარჩენ ჩოგბურთელებს შორის — რომ იტყვიან, სხვადახვა დონეზე დაფრინავენ.

ძახა ლომაშვილი

ირაკლი ლაბაძე

ბადრი ჯეიდლაძის ფოტო

ლაბაძეც იგებს და ჩიხლაძეც

ჰოლანდიურ შევენინგენში გრძელდება 85 ათასი ევრო საპრიზო ფონდის მქონე ჩელენჯერი და საკმაოდ ხანგრძლივი წარუმატებელი პერიოდის შემდეგ იქ მშვენივრად თამაშობს ირაკლი ლაბაძე, რომელმაც არგენტინელ ლეონარდო მაიერთან გამარჯვების შემდეგ 1:6 6:3 6:3 მოუგო ლიტველ რიკარდას ბერანკასს და მეოთხედფინალში გაიღწია.

საქართველოს სადევისთასო ნაკრების მეორე ლიდერი ლადო ჩიხლაძე კი აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირზე პირველ ნომრადაა განთესილი და ჯერჯერობით ამართლებს კიდეც ფავორიტის სტატუსს. მეორე წრეში ლადომ ხორვატ სტეფანო ვუკოვს 6:2 6:1 გადაუარა და მეოთხედფინალს უწია, სადაც მე-8 ნომრად განთესილ 25 წლის ლიბანელს, რეიტინგის 1020-ე საფეხურზე მყოფ ქარიმ ალეილის შეხვდება.

სამწუხარო ის გახლავთ, რომ ჩიხლაძე ბაქოში ერთადერთი ქართველიღაა. უფრო ადრე დამარცხებულებს გუშინ დემეტრე თაქთაქიშვილიც მიყვა, ვისაც 6:1 6:0 სძლია მე-5 ნომრად განთესილმა რუსმა მიხაილ ვასილიევმა.

მაკა ჩახნაშვილი მეოთხედფინალშია

იტალიაში, კუნძულ სიცილიის მთავარქალაქ პალერმოში WTA-ტურის ეგიდით 145-ათასიანი ტურნირი მიმდინარეობს და მაკა ჩახნაშვილი, რომელმაც შეჯიბრი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო, უკვე მეოთხედფინალშია.

ძირითადი ტურნირის პირველ წრეში ბელგიელ იანინა ვიკმაიერთან გამარჯვების შემდეგ მაკამ 2:6 6:1 6:1 მოუგო ტურნირზე ორგანიზატორთა მიწვევით მოთამაშე იტალიელ კორინა დენტონის და ახლა კიდევ ერთ მასპინძელს, ტურნირის მთავარ ფავორიტ ფლავია პენეტას დაუპირისპირდება.

იტალიაში თამაშობს სოფო შაფათავაც. რომში, ტევერო რემოს თიხნარის კორტებზე ITF-ის ეგიდით 25-ათასიანი ტურნირი გრძელდება და შაფათავამ ორი მასპინძლის გავლით მეოთხედფინალში გაიღწია. კვალიფიკაციიდან წამოსულ კამილა ჯიორჯისთან გამარჯვების შემდეგ სოფომ 5:7 6:4 6:4 მოუგო რეიტინგის 362-ე პოზიციაზე მყოფ ეველინ მაიერს.

მეოთხედფინალში ქართველის მეტოქე კიდევ ერთი მაიერი, ოღონდაც ავსტრიელი, პატრიცია მაიერი იყო და დაძაბული სამსეტიანი მატჩი მეოთხე ნომრად განთესილი ავსტრიელის გამარჯვებით დასრულდა — 3:6 7:5 6:2.

მაკა ჩახნაშვილი

ბურეგ ფულიანჯაშვილის ფოტო

უიმბლდონის ლეგენდები

ცნობილმა ინგლისურმა ტაბლოიდმა „სანმა“ ორიოდ დღის წინ უიმბლდონის ათი უდიდესი ჩემპიონის კლასიფიკაცია მოახდინა. ვფიქრობთ, უინტერესო არც თქვენთვის უნდა იყოს, თუ რა თანმიმდევრობით დაალაგეს ბრიტანელმა კალმოსნებმა „სრულიად ინგლისის ბალახის ჩოგბურთის კლუბის“ კორტებზე თავგამოჩენილი მეჩოგნეები. ოღონდ იმას დავამატებთ, რომ აქ მხოლოდ ღია ერაში, ანუ 1968 წლის შემდეგ მოღვაწე ჩოგბურთელები მოხვდნენ











10 როდ ლეივერი

ბევრის მიერ ყველა დროის უდიდეს ჩოგბურთელად მიჩნეულმა ავსტრალიელმა 1968 წლამდეც მოახერხა ორი უიმბლდონის მოგება. ლეივერი ახალი ერის პირველი უიმბლდონის ჩემპინიოცაა, როცა ფინალში თანამემამულე ტონი როუჩი დააჩოქა. თუმც ავსტრალიელის უდიდესი ტრიუმფის დრო მომდევნო წელს დადგა, როცა ინგლისური მეიჯორის მოგებასთან ერთად მან „დიდი სლემი“ შეკრა, ანუ ერთ კალენდარულ წელიწადში ოთხივე სლემტიტული მოიგო და 1962 წლის საკუთარი მიღწევა გაიმეორა. ლეივერი დღემდე ერთადერთ ჩოგბურთელად რჩება, რომელმაც „დიდი სლემის“ შეგროვება კარიერაში ორჯერ მოახერხა.

9 ჯონ მაკინროი

ცხელთავიანი ნიუორკელი ცნობილი გახლდათ როგორც თავისი ტიტულებით, ასევე კორტზე გიჟმაჟი ქცევით. მაკინროიმ 1980 წელს ბორგთან წააგო მატჩი, რომელიც დღემდე ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ფინალად მიიჩნევა, მაგრამ შვედზე შური შემდეგ წელსვე იძია. მომდევნო ხუთი ფინალიდან ამერიკელმა კიდევ ორში იმარჯვა, აქედან ერთ-ერთში ისევ დაიკმაყოფილა შურისძიების გრძნობა, ოღონდ ამჯერად ჯიმი კონორსზე.

8 ბორის ბეკერი

17 წლის ასაკში ჟღალთმიანმა გერმანელმა მთელი საჩოგბურთო სამყარო შოკში ჩააგდო, როცა უიმბლდონის ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონად იქცა კაცთა შორის. ბეკერმა მალევე დაამტკიცა, რომ ეს შემთხვევითობა არ იყო და 12 თვეში შეძლო ტიტულის დაცვა. მართალია, მომდევნო ოთხი ფინალიდან გერმანელმა მხოლოდ ერთის მოგება მოახერხა, მაგრამ ის მაინც თავისი დროის ერთ-ერთი უმთავრესი კოლორიტი გახლდათ.

7 ტოდ ვუდბრიჯი

უიმბლდონი მხოლოდ ერთეულთა შეჯიბრი არ არის. ამ უპრესტიჟულეს ტურნირზე 1993-2004 წლებში ვუდბრიჯმა კაც წყვილებში 9 ტიტულის მოგება მოახერხა. ოზის მრავალწლიანი მეწყვილე თანამემამულე მარკ ვუდფორდი გახლდათ, თუმც ვუდბრიჯმა ბოლო სამი ტიტული იონას ბიორკმანთან ერთად მოიგო.

6 ბიორნ ბორგი

როცა შვედმა 1976 წლის ფინალში ფავორიტ ილი ნასტასეს მოუგო, ნაკლებად ვინმეს ეფიქრა, რომ ეს ბორგის მიერ ზედიზედ მოგებული ხუთი ტიტულიდან პირველი იქნებოდა. მაგრამ შვედი შეუცვლელად ბატონობდა 1981 წლამდე, გზად ორჯერ მოუგო ჯიმი კონორსს, სანამ მის დომინირებას ბოლო ჯონ მაკინროიმ არ მოუღო. ვინ იცის რამდენ ტიტულს მოიხვეჭდა ეს დიდი ვიკინგი, ჩოგბურთისთვის თავი ნაადრევად რომ არ დაენებებინა.

5 როჯერ ფედერერი

შვეიცარიელმა ჯადოქარმა შარშან გაიმეორა ბორგის მიღწევა და ზედიზედ 5 უიმბლდონი მოიგო, თუმც რეკორდამდე რაფაელ ნადალმა აღარ მიუშვა. ფედერერი ის მეჩოგნეა, რომელმაც თავის უკანასკნელ უიმბლდონზე მოთამაშე პიტ სამპრასი დასცა 2001 წელს, თუმც შვეიცარიელმა იქიდან მხოლოდ 2 წლის თავზე შეძლო თავისი პირველი ტიტულის მოგება.

4 შტეფი გრაფი

1988-96 წლებში გრაფმა ერთეულთა შორის ორის გარდა ყველა ტიტული დაისაკუთრა. დიდი გერმანელი ერთი თავით მაღლა იდგა თავის მეტოქეებზე და სამხრეთ-დასავლეთ ლონდონში შავდა უილიამსების გამოჩენამდე გაცილებით ადრე დაანახვა ყველას ძალისმიერი ჩოგბურთის უპირატესობა. მართალია, გრაფს ყველა სლემტიტული მინიმუმ ოთხჯერ აქვს მოგებული, მაგრამ უიმბლდონი იყო ადგილი, სადაც მისი სიდიდე ყველაზე მეტად კაშკაშებდა.

3 ბილი-ჯინ კინგი

მინიატურულმა ამერიკელმა ორი ტიტული ახალ ერამდეც მოიგო, რასაც 1968 წლის შემდეგ ოთხი მიაყოლა. კინგი ამის შემდეგ კიდევ სამჯერ გამოჩნდა ფინალებში. ამის გარდა ამერიკელმა ქალთა წყვილებში და მიქსტებში თამაშით დამატებით 14 ტიტული მოხვეჭა.

2. პიტ სამპრასი

„პისტოლ პიტი“ ყველა ცილინდრიდან აფრქვევდა ცეცხლს და მეტოქეს მეტოქეზე ადუღებდა უიმბლდონზე მრავალწლიანი მეფობის პერიოდში. 1993 წლიდან 8 სეზონის განმავლობაში გასაოცარმა ამერიკელმა 7 ტიტული გაჩარხა და მართალია, ციდან დედამიწაზე ფედერერმა დააბრუნა — რომელიც აუცილებლად შეეცდება მისი რეკორდის გამეორებას — სამპრასის ფანტასტიური ჩოგნაობა ინგლისში კიდევ ათეული წლების განმავლობაში ემახსოვრებათ.

1 მარტინა ნავრატილოვა

შეგიძლიათ გიყვარდეთ ან არ გიყვარდეთ ის, მაგრამ სუნთქვის შეკვრის გარეშე ვერ შეხედავთ მის უიმბლდონურ მონაგარს. მართლაც გონების დამბინდველი რიცხვებია — 9 ტიტული ერთეულთა, 7 წყვილთა და 4 შერეულ წყვილთა შორის. ბოლო ტრიუმფი კი მარტინამ 2003-ში, 46 წლის ასაკში, გადაიხადა, რითაც კინგს დაეწია და მასავით 20 ტიტული მოაგროვა.

სლოვაკი სლოვაკის ნაცვლად

პიტსბურგმა ჰოსა შატანით შეავსო

გავაგრძელოთ ნჰლ-ის თავისფალი აგენტების ბაზარზე მოხდარი ამბების მიმოხილვა. ბოლო დღეებში ბლომად საინტერესო სიახლე დაგროვდა და დროა, ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

უმთავრესი მოვლენა იარომირ იაგრის ნჰლ-დან რუსეთში გაქცევა გახლდათ. ჩეხი სუპერვარსკვალი ომსკის „ავანგარდში" დაბრუნდა, გუნდში, რომელშიც 2004-05 წლების სეზონი გაატარა, როცა ოკეანისგაღმეთში ლოკაუტი ბობოქრობდა. ბევრი სამართლიანად იკითხავს — სამი წლის წინ ნჰლ-ში გაფიცვა იყო და გასაგებია, იაგრმა რუსეთში თამაში რატომ მოინდომა, მაგრამ ახლა რამ აიძულა ომსკში წასვლაო?

რამ და ფულმა — „ავანგარდმა" მომდევნო ორ წელში ჩეხს 25 მილიონი დოლარი შეაძლია და იაგრიც რუსეთში ახლად შექმნილ კონტინენტურ ლიგაში თამაშს დათანხმდა. ამ უზარმაზარი თანხის მიუხედავად, მაინც ბევრს გაუკვირდა დიდი ჩეხის გადაწყვეტილება, რადგანაც წესით და რიგით, კარიერის ამ ეტაპზე, მისთვის ფული გადამწყვეტი ფაქტორი არ უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს მაშინ, როცა ფულს არ დახარბდნენ თავად რუსი ჰოკეისტები — ევგენი მალკინი, სერგეი ფიოდოროვი და სხვები, რომლებმაც მაინც მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში არჩიეს თამაში, თუნდაც უფრო ნაკლები ხელფასის სანაცვლოდ. არადა, იაგრს ნჰლ-ში მოწვევები ბლომად ჰქონდა — განსაკუთრებით მისი ყოფილი გუნდი „პიტსბურგი" და „ედმონტონი" აქტიურობდნენ, მაგრამ ჩეხი მაინც ომსკში წავიდა.

რახან „პიტსბურგი" ვახსენეთ, ამ გუნდის ამბებით გავაგრძელოთ — მოგეხსენებათ, „პინგვინებმა" ამ ზაფხულს ბლომად ჰოკეისტები დაკარგეს და გენერალურ მენეჯერ რეი შეროსაც გამალებით მოუწია მათი შემცვლელების მონახვა. უნდა ითქვას, რომ შერომ ეს საკმაოდ კარგად მოახერხა და „დეტროიტში" წასული მარიან ჰოსას მაგივრად ასევე სლოვაკი მიროსლავ შატანი მოიყვანა. შეტევის ხაზი ასევე გაძლიერდა საკმაოდ კარგი თავდასხმელების, უკრაინელი რუსლან ფედოტენკოსა და მეტ კუკის მოსვლითაც. ასე რომ, „პინგვინებს" მომდევნო სეზონშიც თავისუფლად შეეძლებათ უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა.

დაცვის ხაზი მთლიანად გადაასხვაფერა „სან ხოსემ", რომელმაც აქცენტი ვეტერანებზე გააკეთა. გუნდმა ჯერ 37 წლის რობ ბლეიკი აიყვანა, რომელიც 5 მილიონით შეივსებს ჯიბეებს. ამის შემდეგ „ზვიგენებმა" „ტამპასთან" მასშტაბური გაცვლა განახორციელეს — ფლორიდიდან სან ხოსეს მიმართულებით წავიდნენ ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი მცველი დენ ბოილი და გამოცდილი ბრედ ლუკოვიჩი. ამის საპასუხოდ „ტამპამ" მიიღო ახალგაზრდა უკანახაზელი მეტ კარლი, ნიჭიერი ტაი ვიშარტი და მომდევნო დრაფტზე პირველ წრეში არჩევანის უფლება.

სიახლეები არის „რეინჯერსშიც" — გუნდის გენერალური მენეჯერი გლენ სატერი დაიღალა იაგრის ლოდინით (ჩეხს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილება მიღებული) და მას მალევე მოუნახა შემცვლელი „ვანკუვერის" ექსკაპიტან მარკუს ნესლუნდის სახით. თუმც მომდევნო ორ წელში 35 წლის ვეტერანისთვის 8 მილიონის მიცემა საკმაოდ სარისკო დაბანდება გახლავთ. გარდა ამისა, მანჰეტენზე ითამაშებს რუსი მცველი დმიტრი კალინინიც.

ცვლილებებია „მინესოტაშიც", რომელიც დატოვეს ვეტერანებმა, ბრაიან როლსტონმა („ნიუ ჯერსი") და პავოლ დემიტრამ („ვანკუვერი"). მათ მაგივრად გუნდმა დაიბრუნა ძველი ლიდერი ენდრიუ ბრიუნე, ვინც ბოლო სეზონებში „კოლორადოში" თამაშობდა. მის გარდა „ველურების" რიგებს დაიცავენ ფინელი ანტი მიეტინენი და ვეტერანი ოუენ ნოლანი. გუნდმა უკანა ხაზიც გააძლიერა, როცა „ნეშვილიდან" შემტევი მცველი მარეკ ჟიდლიცკი წამოიყვანა და საპასუხოდ მხოლოდ მომდევნო დრაფტზე მეორე წრის არჩევანი დათმო.

ნაკლებად აქტიურნი იყვნენ „ანაჰაიმი" და „კალგარი", რომლებსაც საგადასახადო ჭერის შევსებამდე არცთუ ბევრი უკლიათ. კალიფორნიელმა „იხვებმა" მხოლოდ ექსვანკუვერელი ბრენდან მორისონის დამატება შეძლეს. „კალგარიმ" კი წლეულს სწორედ „ანაჰაიმიდან" გამოგდებული ტოდ ბერტუცი აიყვანა.



იარომირ იაგრი რუსულ ფულს დახარბდა

დაცვაში არსებული უდიდესი პრობლემები მხოლოდ ნაწილობრივ გადაჭრა „ოტავამ", როცა გამოცდილი ჯეისონ სმიტი დაიმატა. ეს კანადელი კარგად შეადუღაბებს „სენატორთა" უკანა ხაზს, მაგრამ გუნდს სასწრაფოდ სჭირდება შეტევითი პოტენციალის მქონე მცველი და რადგანაც დღეისთვის თავისუფალ აგენტთა ბაზარზე თითქმის ყველა სახელიანი და ძლიერი ჰოკეისტი უკვე დატაცებულია, „ოტავას" გენერალურ მენეჯერ ბრაიან მიურეის ალბათ რაიმე გაცვლის გაჩარხვა მოუწევს.

ძახა ლოგაუზვილი

თესალონიკის თეზისები

დევეცი ძალიან შორს დაეცა

ანტიკურ ეპოქაში მძლეოსნობის მშობელი ბერძნების ჩამომავლები თანამედროვე მძლეოსნობაში, ცხადია, სპორტის ამ სახეობაში გიგანტი ქვეყნების რიცხვს არ ეკუთვნიან, მაგრამ ისეც არ დაცემულან, რომ ოლიმპიადებზე ერთიორი მედალი მაინც არ დარჩეთ.

ახლაც ბერძნებმა ოლიმპიადის წინ თესალონიკში დიდი ტურნირი გამართეს და მოწვეულ სტუმრებთან შეჯიბრში გენერალური რეპეტიცია გაიარეს. საუკეთესო ფორმაშია მათი „ოქროს იმედი", სამხტომელი ქალი ხრიზოფიგი დევეცი, ვინაც კუბელ იარდელის სავინესთან შეჯიბრში სეზონის საყოველთაო რეკორდი დაამყარა, როცა ერთ-ერთ ცდაზე სამი ხტომის ჯამში 15,22 მეტრზე დაეშვა. თანაც განა ერთი ცდა გაუვარდა, როგორც ხშირად ხდება — დევეციმ სტაბილურად კარგი ნახტომები შეასრულა და მეორედ 15,21 მეტრზეც კარგად ისკუპა.

დევეცი ასე კარგად რომ გამოვიდა, ეს სავინეს დამსახურებაცაა, რაკიღა კუბელი კალია ერთთავად ფეხდაფეხ სდევდა და მანაც ორჯერ გადაიტანა ტანი 15 მეტრს იქით, რაც ქალებში გვარიან შედეგად ითვლება — სავინე ერთხელ 15,12 მეტრზე დაეშვა, მეორედ კი 15,02 გადაზომა.

არა უშავდა სლოვენიელ მარია სესტაკსაც, ვინაც საუკეთესო ცდაზე 14,90 მეტრზე ისკუპა, თუმც ასეთი შედეგით მაინც გაუჭირდება ოლიმპიადაზე მედლისთვის ბრძოლა.

ასევე რიგიან ფორმაში ჩანს სიგრძეზე მხტომელი კაცი ლუის ცადუმასი, ვინაც თესალონიკში 8,36 მეტრზე გადახტა და თუ პეკინში 10-20 სანტიმეტრს მოუმატებს, სერიოზულად აანერვიულებს სადღეისოდ მსოფლიოს საუკეთესო სიგრძეზე მხტომელს, პანამელ ირვინგ სალადინოს. ის ასევე 8,10 მეტრზეც გადახტა. ასე რომ, მისთვის 8+ მეტრი პრობლემა არ არის და თუ სალადინოს ოქრო ვერ აართვა, ნაკლებად ბრჭყვიალა მედალს უცილობლად მოიხელთებს.

დევეცისა და ცადუმასისგან განსხვავებით, მთლად რიგიან ფორმაში ვერ ჩანს ოთხი წლის წინ მშობლიური ათენის ოლიმპიადაზე ქალთა 400 მეტრ თარჯრბენის მომგები ფანი ჰალკია. ოლიმპიური ჩემპიონი ათენის შემდეგ ისედაც ძუნწად ენახვებოდა მძლეოსნების გულშემატკივრებს, 2008 წელს კი დიდ ტურნირებზე თითქმის არ გამოჩენილა. თესალონიკში მან თარჯებით დამძიმებული 400 მეტრი არცთუ სანაქებო დროში, 57,57 წამში მოილია და მხოლოდ მეხუთემ დაასრულა შეჯიბრი, ამასთან მთელი წრის განმავლობაში ტექნიკური პრობლემები ჰქონდა. აქ გამარჯვება დარჩა ჩეხ გოგონას, 56,22 შედეგის მაჩვენებელ სუზანა ჰეინოვას.

არ გაუმართლა კაცთა 110 მეტრ თარჯრბენში საბერძნეთის ჩემპიონ კონსტანტინოს დუვალიდისს. გარბენის ერთ-ერთი ფავორიტი, იამაიკელი მორის ვიგნალი მესამე თარჯს გამოედო, წაიქცა და ბერძენი ჩემპიონიც წაიყოლა. აქაც ჩეხმა იმარჯვა — 13,32 წამით საუკეთესო იყო პეტრ სვობოდა, რომელიც ევროპელ თარჯრმორბენლებში სეზონის რეკორდს (13,29) ფლობს.

თესალონიკში გახლდათ არაერთი კარგი სიმაღლეზე მხტომელი კაცი (ქალთა შეჯიბრიც რომ ყოფილიყო, ბლანკა ვლასიჩს ვინ ჩაასწრებდა საბერძნეთში). მათ შორის გამოირჩეოდნენ შვედი შტეფან ჰოლმი და რუსი იური რიბაკოვი. შვედმა 2,32-მეტრიანი ნახტომით იმარჯვა, რუსი კი 2,30 მეტრით მეორეზე გავიდა. ასეთივე შედეგით მესამე იყო კიდევ ერთი შვედი ლინუს ტორბლანდი. ბერძენთა ჯილა კიპრიოტ კირიაკოსი კი 2,27 მეტრზე და მეოთხე აღგილზე შეჩერდა.

ქალთა 100-მეტრიან გარბენში გაიელვა მსოფლიოს ჩემპიონმა, მაგრამ მშობლიურ ჩემპიონატში მხოლოდ მეოთხეზე გასულმა და ამდენად ოლიმპიადაზე 100-მეტრზე სირბილში ადგილდაკარგულმა ვერონიკა კემპბელ-ბრაუნმა. იამაიკელმა საბერძნეთში 10,85 შედეგით მოიგო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უმოკლეს და უპრესტიჟულეს ოლიმპიურ დისტანციაზე მსოფლიოში ერთ-ერთი უსწრაფესი ქალია და კინგსტონში შემთხვევით მოეცარა ხელი. თესალონიკში იამაიკელ შავ ავაზას ახლოსაც ვერავინ გაეკარა.

ვანო კოგიაუზვილი

95-ე ტურ დე ფრანსი. 5-27 ივლისი

პირველი სიმაღლე რიკომ აიღო

შუმახერმა ლიდერობა კირხენს გადაულოცა

სუპერ ბიზის მწვერვალს პირველმა რიკარდო რიკომ უწია

როგორც მოსალოდნელი იყო, „ტურ დე ფრანსის“ მეხუთე ეტაპმა, რომელიც შოლესა და შატორუს შორის 232 კილომეტრს მოიცავდა, გენერალურ კლასიფიკაციაში არაფერი შეცვალა.

ეტაპი ვაკეზე გადიოდა და პროგნოზირებადი ჯგუფური ფინიშით დამთავრდა, ოღონდაც, სიმართლე უნდა ითქვას, რომ სპრინტერებს მაგრად გაუმართლათ, პელოტონმა ბოლო მეტრებზე გაქცეულების დაწევა რომ მოახერხა, თორემ მესამე ეტაპის მსგავსად, ახლაც ხახამშრალნი დარჩებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ მესამე ეტაპზე ოთხი მრბოლი თითქმის სტარტისთანავე, მეორე კილომეტრზე მოწყდა ველოქარავანს. ამ ოთხეულმა იმხელა უპირატესობა მიიღო (ფინიშამდე 80 კილომეტრით ადრე პელეტონი გაქცეულებს 14 წუთით ჩამორჩებოდა), რომ ძირითადმა ჯგუფმა დაწევა ვეღარ მოახერხა, ფინიშს გაქცეულებზე ორი წუთით გვიან უწია და შედეგად, სპრინტის ოსტატები ხელცარიელნი დარჩნენ.

ამჯერად იერიში სამმა მრბოლმა წამოიწყო. სამივე ფრანგი იყო — „ფრანსაიზ დე ჟუს“ ლილიან ჟეგუ, „კოფიდისის“ ფლორენ ბრარდი და საფრანგეთის ჩემპიონი ჯგუფურ რბოლაში, „აგრიტუბელის“ ნიკოლა ვოგონდი. ამჯერად პელოტონმა სიფრთხილე გამოიჩინა და გაქცეულებს ძალიან დიდი უპირატესობის მიღების საშუალება არ მისცა, თუმც ფრანგულმა სამეულმა ბოლომდე იბრძოლა. განსაკუთრებით ვოგონდი აქტიურობდა, ვინც სწორედ იმ კუთხის მკვიდრია, სადაც რბოლა ტარდებოდა და ოჯახის წევრებისა და მეგობრების თვალწინ თავი დადო გამარჯვებისთვის.

ვოგონდის სულ ცოტა დააკლდა ტრიუმფამდე. უკვე შატორუს ქუჩებში და, სხვათა შორის, სწორედ ამ ქალაქშია დაბადებული ჟერარ დეპარდიე, ვოგონდიმ, რომელმაც იგრძნო პელოტონის სუნთქვა ზურგს უკან, მიატოვა ჟეგუ და ბრარდი და უკანასკნელი შემორჩენილი ძალებით გაქროლდა ფინიშისკენ. ეს ფინიში ოციოდე მეტრით ადრე რომ ყოფილიყო, ნიკოლა მოიგებდა კიდეც, მაგრამ ამ ბოლო მეტრებზე პელოტონმა ისიც ჩაყლაპა და წინ განთქმული სპრინტერები გაცვივდნენ.

ყველას ამრეიკული „კოლუმბიას“ ბრიტანელმა მრბოლმა მარკ კავენდიშმა აჯობა და ბოლო მეტრების ისეთი დიდოსტატები მოიტოვა უკან, როგორებიც ესპანელი ოსკარ ფრეირე, გერმანელი ერიკ ცაბელი და ნორვეგიელი ტორ ჰუსჰოვდი არიან.

23 წლის კავენდიში გახდა ბოლო ხუთ წელიწადში „ტურის“ ეტაპის მომგები პირველი ბრიტანელი. კავენდიშმა წლევანდელ „ჯირო დიტალიაზეც“ მოიგო ორი ეტაპი და შატორუში გამარჯვებით კი კიდევ ერთხელ ყველას დაუმტკიცა, რომ სპრინტში მასაც ეთქმის სიტყვა და ამ სიტყვას ყველამ ანგარიში უნდა გაუწიოს.

თანაც, კავენდიში თურმე დარწმუნებული იყო საკუთარ გამარჯვებაში და რბოლის დაწყებამდე თავისი მენეჯერისთვის უთქვამს, ფულის შოვნა თუ გინდა, ტოტალიზატორში დარეკე და ჩემს მოგებაზე 1000 ევრო დადეო.

გუშინ „ტურზე“ მეექვსე ეტაპი იყო და აიგურანდედან სუპერბისამდე მდებარე 195,5-კილომეტრიან გზაზე ველოსიპედისტთა წინაშე პირველი მთები აღიმართა. არა, ეს არც პირინეები იყო და არც ალპები, მაგრამ გზის ბოლოსკენ ორი მეორე კატეგორიის მთა, თანაც აღმართში ფინიშით, უკვე საქმე იყო და გვარიანი ბრძოლაც გაჩაღდა.

საბოლოო ჯამში ეს ბრძოლა ლიდერის შეცვლით დასრულდა, რადგანაც ბოლო, კილომეტრნახევრიან ციცაბო აღმართში, როდესაც რიკარდო რიკომ და ალეხანდრო ვალვერდემ შეუტიეს, შტეფან შუმახერი უხერხულ პოზიციაში აღმოჩნდა, წინ მავალის ბორბალს წამოედო, დაეცა და კიდეც რამდენიმე მრბოლი ზედახორაში მოაყოლა.

შუმახერმა დაახლოებით ნახევარი წუთი დაკარგა და გენერალურ კლასიფიკაციაში წინ კიმ კირხენი და კედელ ევანსი გაატარა.

ეტაპი რიკომ მოიგო. 24 წლის იტალიელი საერთო ჩათვლის ლიდერებს უკვე გვარიანად ჩამორჩება, მაგრამ ახალგაზრდა მრბოლი არც გეგმავდა მაღალი ადგილებისთვის ბრძოლას. აი, ერთი სამთო ეტაპის მოგება მის გეგმებში ნამდვილად შედიოდა და ვინ იცის, რიკარდომ ეს გეგმა გადაჭარბებითაც კი შეასრულოს.

„სონი დიუვალის“ მრბოლმა ეტაპის ბოლო ას მეტრზე აჯობა ასეთი ფინიშების ოსტატ ვალვერდეს და მათ უკან კი ევანსი იყო.

აღსანიშნავია ახალგაზრდა ჩეხის, რომან კროიცაგერის მშვენიერი შედეგი (მე-6 ადგილი და +7 წამი გამარჯვებულთან) და ერთ-ერთი ფავორიტის, დამიანო კუნეგოს მარცხი, რომელმა ბოლო აღმართში 32 წამი წააგო.

გენერალური კლასიფიკაციის თავში 28 წლის ლუქსემბურგელი კირხენი მოექცა, ევანსი მასთან 6 წამს აგებს, დენის მენშოვი — წუთსა და 3 წამს, ვალვერდე — წუთსა და 12 წამს, კარლოს სასტრე — წუთსა და 34 წამს, ხოლო კუნეგო — წუთსა და 42 წამს.

მე-6 ეტაპი. აიგურანდე — სუპერ ბიზი. 195,5 კმ

1. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი“)	4სთ 57წთ 52წმ
2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი“)	+1წმ
3. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო“)	+1
4. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC)	+4
5. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „კოლუმბია“)	+4

საერთო ჩათვლა

1. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „კოლუმბია)	24სთ 30წთ 41წმ
2. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო“)	+6წმ
3. შტეფან შუმახერი (გერმანია, „გეროლშტაინერი“)	+16
4. კრისტიან ვანდეველდე (აშშ, „ჯერმენ შიპოტლი“)	+44
5. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, „ჯერმენ შიპოტლი“)	+47

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil
№ 1 საავტომობილო ზეთი

ისევ ჰემილტონი

ჰოკენჰაიმში მიმდინარე ტესტების მეორე დღესაც ყველაზე სწრაფი ლუის ჰემილტონი იყო. თანაც, „მაკლარენ-მერსედესის“ ინგლისელმა პილოტმა ამ ჯერზე უფრო შთამბეჭდავად იჯირითა და დილის სესიისას რომ ჩაიგდო ლიდერობა ხელთ, ბოლომდე ახლო არავინ გაიკარა.

მთლიანობაში ლუისმა 101 წრე დაარტყა ჰოკენჰაიმის ავტოდრომს და საუკეთესო წრეზე წუთი და 14,872 წამი აჩვენა.

ჰემილტონს თითქმის ოთხი მეათედი წამით ჩამორჩა „უილიამსტოიოტას“ გერმანელი ნიკო როსბერგი (1.15,257), ხოლო მესამე შედეგი მსოფლიოს ჩემპიონს, „ფერარის“ ფინელ პილოტ კიმი რაიკონენს (1.15,296) ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ წინა დღესაც ეს სამეული იყო ყველაზე სწრაფი, ოღონდაც მაშინ რაიკონენი მეორე იყო, როსბერგი კი — მესამე, ამჯერად კი გაგერმანებულმა ფინელმა აჯობა ნაღდ ფინელს.

მეოთხე შედეგი ვეტერან შოტლანდიელს, „რედ ბულის“ დევიდ კულტჰარდს ჰქონდა, მის უკან კი გერმანელები, „ფორს ინდიას“ ადრიან სუტილი, „ტორო როსოს“ სებასტიან ფეტელი , „ტოიოტას“ ტიმო გლოკი და ესპანელი ექსჩემპიონი ფერნანდო ალონსო („რენო“) განლაგდნენ.

დღის ბოლოს ჰემილტონმა მოკლე კომენტარი გააკეთა: „ტესტების პირველმა ორმა დღემ ძალზე ნაყოფიერად ჩაიარა, თანაც, არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ გავუსწარით „ფერარის“, მაგრამ აშკარაა, რომ „მაკლარენმა“ გვარიანი პროგრესი განიცადა“.

ძახა ლომაძე

ფილოსოფოსი ალონსო

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, „რენოს“ ესპანელი პილოტი ფერნანდო ალონსო ფიქრობს, რომ მის გუნდს ძალუძს სეზონის მეოთხე ადგილზე, ანუ ტოპ-გუნდების, „ფერარის“, „მაკლარენისა“ და „BMW-ზაუბერის“ უკან დასრულება.

საკმაოდ ამბიციური მიზანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხსენებული სამი გუნდის გარდა, ფრანგულ საგზინიბოს კონსტრუქტორთა თასზე კიდევ სამი გუნდი უსწრებს — „ტოიოტა“, „რედ ბული“ და „უილიამსი“.

ესპანურ „ელ პაისთან“ ინტერვიუში ფერნანდომ განაცხადა, რომ აღარ ფიქრობს პირად წარმატებებსა და პოდიუმზე, რადგანაც პირადად მას არანაირი საჩემპიონო შანსი აღარ გააჩნია: „ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს. მთავარია, „რენომ“ მეოთხე ადგილი დაიკავოს გუნდურ ჩათვლაში“.

ალონსოს აზრით, „რენო“ დიდად არ ჩამოუვარდება მის წინ მყოფ გუნდებს და პატარა გამართლების შემთხვევაში შეძლებს კონკურენტების გადასწრებას.

„რედ ბულის“ პოდიუმი კანადაში, დიდწილად, იღბლის საჩუქარი იყო. სილვერსტოუნზე „ჰონდას“ პოდიუმს რაც შეეხება, ეს ნამდვილად არ ნიშნავს, რომ ეს გუნდი რაკეტის სიჩქარით პროგრესირებს. ჩვენთვის მთავარია, სიმშვიდე შევინარჩუნოთ და ქულები მოვიპოვოთ — განაცხადა ორგზის ჩემპიონმა და იქვე ფილოსოფიურად დაამატა — არის სეზონები, როდესაც ყველაფერი შენ სასარგებლოდაა, მაგრამ ისეთებიცაა, როდესაც ხელაღებით არ გიმართლებს. მე ვამჯობინებ, უიღბლობის პორცია წლეულს ბოლომდე მივიღო, რადგანაც ტიტულითვის მაინც ვერ ვიბრძვი“.

ძახა ლომაძე



ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ

�პᲝᲚᲝᲜᲣᲠ ᲑᲘᲓᲒᲝᲨᲘ ᲒᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲘᲣᲜᲘᲝᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲐᲒᲔᲠ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲭᲐᲑᲣᲙᲘ ᲙᲣᲠᲢᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ ᲦᲝᲜᲘᲕᲠᲐᲓ ᲐᲮᲢᲔᲑᲐ ᲑᲐᲠᲘᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲬᲘᲜᲐᲦᲝᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲐ 3 000 ᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜ ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐᲖᲔ.

ᲘᲛᲐᲕ ᲑᲘᲓᲒᲝᲨᲘ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ, ᲠᲔᲘᲩᲔᲚ ᲚᲝᲠᲔᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲭᲝᲙᲘ ᲫᲐᲚᲣᲛ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲓᲠᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔ ᲓᲐᲐᲙᲚᲓᲐ ᲗᲐᲛᲐᲡᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲑᲐᲓ.



ᲫᲕᲔᲚᲘ ᲪᲝᲓᲕᲔᲑᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ ᲬᲕᲘᲛᲡ ᲓᲐ ᲭᲝᲚᲒᲐᲡ ᲨᲔᲤᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲓᲣᲔᲘᲜ ᲩᲔᲛᲑᲔᲠᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲔᲨᲣᲠᲔᲑᲐ. ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲛᲝᲠᲑᲔᲜᲐᲚᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝ, ᲔᲠᲗᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲝᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲕᲘ ᲣᲞᲝᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲕᲔᲗᲔᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲩᲔᲛᲑᲔᲠᲡᲡ ᲓᲘᲡᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲕᲐᲓᲐ ᲒᲐᲣᲕᲘᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲠᲔᲙᲘᲜᲨᲘ ᲬᲐᲧᲕᲐᲜᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲡ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲪᲝᲓᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲰᲝᲓᲐ, ᲩᲔᲛᲑᲔᲠᲡᲘᲪ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲩᲘᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲡ.

ᲡᲙᲣᲚᲠᲢᲣᲠᲐᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ

ᲐᲛ ᲤᲝᲢᲝᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ: ᲛᲐᲡᲖᲔ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲡ ᲡᲙᲣᲚᲠᲢᲣᲠᲐᲐ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ, ᲠᲔᲙᲘᲜᲨᲘ ᲓᲒᲐᲡ ᲓᲐ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲡ ᲔᲚᲘᲡ.

ᲬᲐᲑᲘᲚᲬᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ

ᲔᲡ ᲒᲝᲒᲝ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲚᲘ ᲚᲘᲚᲘᲐᲜᲐ ᲰᲝᲠᲔᲡᲙᲣᲐ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲠᲔᲙᲘᲜᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐᲖᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ 1000 ᲛᲔᲢᲠ ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲠᲔᲓᲒᲘᲜᲐ ᲠᲔᲙᲘᲜᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲐᲒᲚᲐᲮ, ᲚᲘᲚᲘᲐᲜᲐᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲨᲘ ᲠᲐᲦᲐᲪ-ᲠᲐᲦᲐᲪᲔᲔᲑᲘ ᲐᲦᲛᲝᲣᲩᲘᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲙᲕᲔᲗᲐ. ᲤᲝᲢᲝ ᲙᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲝᲡᲢᲠᲐᲕᲐᲨᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲡ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲛᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: ᲙᲝᲑᲐ ᲜᲐᲡᲐᲠᲫᲘᲐ, ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲚᲝᲚᲐᲫᲔ, ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲟᲝᲠᲟᲝᲚᲘᲐᲜᲘ
ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲕᲘᲐᲩᲔᲡᲚᲐᲕ ᲒᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ
ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ, ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ, ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ, ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲤᲝᲢᲝᲠᲔ�პᲝᲠᲢᲘᲝᲠᲔᲑᲘ: ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲝᲚᲔᲜᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲐᲫᲔ
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ: ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲘᲐᲜᲘ, ᲚᲐᲚᲘ ᲒᲝᲜᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ: ᲚᲔᲘᲚᲐ ᲑᲔᲒᲚᲐᲠᲝᲕᲐ, ᲚᲘᲐᲜᲐ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐ, ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲑᲣᲮᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲒᲓᲐ ᲓᲝᲒᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ, ᲗᲐᲛᲐᲠ ᲭᲘᲜᲭᲚᲐᲫᲔ

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79, ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ
sarbieli@gol.ge
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ
http://www.sarbieli.com.ge

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ: 38-11-14, 877 54 55 00